საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი 14 იანვარი 1920 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთობა

ფასი 2 მანეთი

გაზეთი ღირს 1 თვით 50 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 2 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე ხუთეულის სტრიქონი 4 მანეთი. მეოთხე გვერდზე 3 მან. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივზე ზომისა 80 მანეთი. ნისია განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორის ადრესი: რუსთაველის პრ. № 24.

ტელეფონი 16—62.

№ 9 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 9

შაბათს, 10 იანვარს ლანჩხუთში უეცრად გარდაიცვალა ჯერ კიდევ ცოცხლის მაძიებელი ჯან-ღონით სავსე ყმაწვილი

ილიკო დოლიძე

რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ღრმათ დამწუხრებული დედა სოფიო, მამა მაქსიმე და ძმები: პროკოფი, ვიქტორ, ირან, ლადიკო და შერმადინ დოლიძენი. (160—1—1)

მწუხარებით მყოფი მეუღლე კატო, შვილები: სამსონ, აკაკი, ძმა პლატონ და რძალი ქეთუ აუწყებს ნათესავებს მეგობრებს და ნაცნობებს.

ისიდორე ოტიას ძე გოგოშიას

გარდაცვალებას, რომლის უკანასკნელი გამოთხოვების დღეთ არის დანიშნული 15 იანვარი. დაკრძალვა მოხდება წმ. გიორგის ეკლესიის სასაფლაოზე, ქ. სამტრედიაში, ნახიტურის უბანი (166—1—1)

უზომოთ დამწუხრებული დედა ანანო, ცოლი ნინა და ძმა კოლა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს მათთვის დაუვიწყარის ქართული კლუბის ელექტრო-მონტიორის

ანტონ ალექსანდრეს ძის არჯევანიძის

უდროოდ გარდაცვალებას. დასაფლავება მოხდება ხუთშაბათს, 15 იანვარს ახალი სტილით. გამოსვენება დილით 10 ს. ჭავჭავაძის ქუჩა № 20. დაკრძალვა ნინოწმინდის სასაფლაოზე. (165—2—1)

ღრმად დამწუხრებული ვალია ლევან თოფურიას ასული მასხულიასი და შვილი მისი პაწია ვიტუშა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და მეგობრებს, რომ 19 იანვარს აბაშაში წმინდა გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი ძვირფასი მეუღლის

ნიკიფორე ივანეს ძე მასხულიას

სულის მოსახსენებლად. (161—2—1)

ღრმად დამწუხრებული: მამა იაგორ, დედა ელისაბედ, ძმები: კოსტა და პლატონ, ბიცოლები: ნინა და ლიზა; ბაბუა ნიკოლოზ, ბებია ეგვიტე, ბიძაშვილები: პროკოფი და პავლე გიორგაძეები, ბაბუა გიორგი, ბიძანები: ეკე, თომა და ვენედიქტე თელიები, მამიდები: მარო, მართა და ქრისტინე, ნათლიები: ნარიო დუმბაძე და კონსტანტინე ბერიძე აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მოკეთეთ უდროოდ გარდაცვალებას მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარის მეოთხე ქალთა გიმნაზიის მოწაფის

ელენე იაგორის ასულის გიორგაძისას

დაკრძალვა 15 იანვარს, (ახ. სტ.) წმ ნინოს ეკლესიაში. მიცვალებულს გამოასვენებენ ამოიანცის სახლიდან 12 საათზე, ალ. ალექსეევის ქუჩა № 14 მესამე შესახვევი. (147—3—2)

საქართველოს კოოპერატიული ბანკი

საორგანიზაციო კომიტეტი აუწყებს ბანკის აქციონერთ, რომ, ამ წლის 15 თებერვალს, ქ. თფილისში, ცენტრალურ კოოპერატიულ კავშირის შენობაში (კოოპერაციის ქუჩა № 15) დილის 10 საათზე დანიშნულია საქართველოს კოოპერატიული ბანკის აქციონერთა პირველი

საზოგადო კრება

დღის წესრიგი: 1) მოხსენება საორგანიზაციო კომიტეტისა, 2) საქციონერო თანხის გადიდება, 3) წესდების 49 მუხლის შეცვლა, 4) ხარჯთაღრიცხვის განხილვა და დამტკიცება. 5) გამგ. და საბჭოს არჩევნები. 6) მიმდინარე საკითხები. წესდების 49—50 მ. ძალით ყოველ კოოპ. დაწესებულებას, რომელსაც აქვს ორი აქცია, უფლება აქვს დაესწროს საზოგადო კრებას გადამწყვეტი ხმის უფლებით. ბანკის აქციონერთ შეუძლიანთ ხმის უფლება გადასცენ სხვა აქციონერებს, რომელთაგანაც არავის არ შეუძლია ორზე მეტი რწმუნება იქონიოს. რწმუნება ხმის უფლების გადაცემის შესახებ ეძლევა წერილის ფორმით, რომელიც უნდა წარმოდგენილ იქნეს სამი დღით ადრე საზოგადო კრებამდე. (ნ. 3—1)

მეოთხე რაიონული კოლექტივი

ხუთშაბათს, 15 იანვარს, საღ. 6 საათზე, ვერის მუშათა კლუბის დარბაზში იწვევს ს. ს. დ. მ. პ. თფ. ორგ. მეოთხე რაიონის პარტიის

წევრთა საზოგადო კრებას

დღის წესრიგი: საქართველოს კონსტიტუცია, მოხსენება ამხ. პ. საყვარელიძისა.

ყველა პარტიის წევრთა დასწრება სავალდებულოა.

მე-4 რაიონული კოლექტივი. (უფ. 2—1)

სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კავშირის გამგეობის მიერ იანვრის 26-ს

„სტუდენტთა დღის“

აღსანიშნავად გამოცემულ იქნება ჟურნალი

„ქართველი სტუდენტი“

ჟურნალის სარედაქციო კოლეგია სთხოვს ამხანაგებს მოაწოდონ წერილები, მოგონებანი და სხვა მასალები სტუდენტთა ცხოვრებიდან. მასალები მიიღება მხოლოდ იანვრის 15-მდე, შემდეგი მისამართით: **სახელმწიფო უნივერსიტეტი — ჟურ. „ქართველ სტუდენტისათვის“, ან სტუდენტთა სასადილოში.**

სარედაქციო კოლეგია. (138 2—2)

საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოების გამგეობა

ამით აცხადებს, რომ საზოგადოების აქციონერთა **საზოგადო კრების** გაგრძელება გადადებულია და დანიშნულია შაბათს, ამა იანვრის 17, საღამოს 7 საათზე, საურთიერთო ნდობის ბანკის ბინაზე (დამფუძნებელ კრების ქუჩა № 6).

გამგეობა. (ნ. 2—2)

საქ. სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ყველა სამაზრო და საქალაქო ორგანიზაციებს

ცეკა მოაგონებს, რომ თანახმად პარტიული წესდების მეათე მუხლისა ყველა ადგილობრივი ორგანიზაცია ვალდებულია 15 იანვრამდე წარუდგინოს ცენტრალურ კომიტეტს ანგარიში განვლილი წლის მოღვაწეობის შესახებ. (უფ. 5—5)

საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის თფილისის

სამაზრო კომიტეტი

17 იანვარს იწვევს მაზრის ორგანიზაციათა

კოლექტივების პარტიულ ყრილობას

დღიური წესრიგი: 1) მოხსენება სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმის, 2) მოხსენებები ადგილებიდან, 3) მიმდინარე მომენტი, 4 ორგანიზაციული მუშაობა, 5) სამაზრო ერობის გამგეობის თავმჯდომარის მოხსენება, 6) კომიტეტის არჩევა. ყრილობა გაიხსნება დილის 12 საათზე სამაზრო ერობის ბინაზე, რუსთაველის პროსპ. № 6. **კომიტეტის პრეზიდიუმი.** (145 5—2)

დრამატიული საზოგადოების სარევიზიო კომისია

აუწყებს ხსენებულ საზოგადოების წევრებს, რომ **ორშაბათს, 19 იანვარს,** დილის 11 საათზე ქართულ კლუბის დარბაზში დანიშნულია წევრთა

საზოგადო კრება

განსახილველი საგნებია: 1) მიღება ახალ წევრებისა, 2) მოხსენება სარევიზიო კომისიისა, 3) არჩევნები ახალი გამგეობისა, 4) მიმდინარე საკითხები. კრება შესდგება დამსწრე წევრთა რაოდენობის მიუხედავად. (171—5—1)

სახელოსნოს მომხმარ. საზოგადოება „კავშირის“ გამგეობა

ამით აცნობებს თავის წევრთ რომ დაესწრონ

წლიურ კრებას

18 იანვარს ახალი სტილით სადგურ სახელოსნოში დილის 10 საათზე. კრების განსახილველი საგნები შემდეგია: წლიური ანგარიშის განხილვა დამტკიცება მომავალი წლის ხარჯთ-აღრიცხვა და გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

კავშირის გამგეობა. (164—1—1)

ექიმი ბ. ი. ოქროპირიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. რტიშჩევის ქუჩა № 22, სოლოლაკი. (ნ.—თ.)

ექიმი ხარლიონ ამბროსის ძე

ცეხანოვსკი

საპიორნი ქუჩა საკ. სახლი № 28 ევანგულოვის ქუჩის კუთხე სახელმწიფო თეატრის უკან.

ჩამოვიდა ქუთაისიდან და ღებულობს სქესის, შარდის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს (606—914)

მიღება: დილის 8—9 ს. მოწაფეებს და ღარიბებს უფასოთ. 10—12 ს. საღამოს 4—5 ს. მარტო ქალებს 5—6 ნახ. ს. (თ.—3423)

იყიდება

„ბუდკა“ თავის მოწყობილობით, მუშტაიდის შესახვევი № 11 იკითხეთ იქვე ელისაბედის ქუჩა № 202. (170—4—1)

დამოუკიდებლობის ცნობის მნიშვნელობა.

ჩვენი რესპუბლიკის დამოუკიდებლობის ცნობა ელვასავით მოედო თბილისს. მთელმა ხალხმა თავის ინიციატივით ბრწყინვალედ იდღესასწაულა ეს დღე მან ინსტინქტით იგრძნო, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ძლიერ სახელმწიფოთა კონცერტის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობას. საზოგადოთ, ინსტინქტი, ისტორიულ აქტის დაფასების დროს ძნელათ თუ ულალატებს ხალხს და იგი არც ამ შემთხვევაში სცდება: ჩვენი ქვეყნისათვის, მის მომავალ ბედისათვის, ჩვენი დემოკრატიის საქმისათვის დამოუკიდებლობის ცნობას უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს.

რაც უნდა სწორი და მტკიცე ყოფილიყო ის პოლიტიკური ხაზი, რომელსაც ადგა აქამდის ჩვენი სახელმწიფო, რაც უნდა ბრძნული და მიზან-შეწონილი ყოფილიყო ჩვენი დემოკრატიის საქმიანობა, რაც უნდა მაღალი სახელმწიფოებრივი უნარი გამოეჩინა მას, ჩვენს რესპუბლიკას მუდამ თან სდევდა საშინელი აჩრდილი: საკმარისი იყო ძლიერ სახელმწიფოთა ერთი ხელის მოსმა, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი არსებობა საეჭვო გამხდარიყო როგორც გარეშეთა, ისე შინაურთა თვალში. გარედან ყოველს მტაცებელს, ყოველს მოძალადეს შეეძლო ჩვენს რესპუბლიკაზე იერიში მოეტანა და არ დაფიქრებულიყო პასუხისმგებლობაზე ამნაირ ნაბიჯის გამო. შიგნით ეს გარემოება ბადებდა ერთნაირს რყევას, ერთნაირს ურწმუნოებას და უმტკიცობას. ასეთი ფსიხოლოგიური განწყობილება ძლიერ ასუსტებდა ჩვენს სახელმწიფოებრივს საქმიანობას და ამცირებდა ჩვენის მუშაობის ნაყოფს. შეუძლებელია ჭეშმარიტი სახელმწიფოებრივობა განმტკიცდეს იქ, სადაც სახელმწიფოს ბედი მარტო შენს ხელთ არ არის, როცა შენი სახელმწიფოს მომავალი მარტო შენს უნარზე და საქმიანობაზე არ არის დამოკიდებული, როდესაც მისი ბედის გადამწყვეტში გარეშე, შენგან დამოუკიდებელი ძალა თამაშობს დიდ როლს, როდესაც ხალხმა დარწმუნებით არ იცის, რას უმზადებს მის სახელმწიფოს ხვალინდელი დღე.

დამოუკიდებლობის ცნობით იფანტება ის ეჭვიანობის და უმტკიცობის ბურუსი, ჩვენის რესპუბლიკის არსებობას რომ ბურავდა. გარეშე მოძალადეს შეიძლება ეპატიოს მტაცებლური მოქმედება იმ ხალხის მიმართ, რომელსაც სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია არა აქვს, მაგრამ ძალდატანება სახელმწიფოზე, რაც უნდა მცირე და სუსტი იყოს იგი, ყოველთვის გამოიწვევს საერთაშორისო გართულებას, ძლიერ სახელმწიფოების ჩარევას, ხშირად ომსაც. ვინ არ იცის, რომ ომები უდიდეს სახელმწიფოთა შორის უფრო ხშირად მცირე სახელმწიფოებიდან დაწყებულა? ვინ არ იცის, რა ხშირად გამოუწვევია შეტაკება იმისთანა დიდ სახელმწიფოთა შორის, როგორიც არის ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია, რუსეთი რომელიმე სერბიის, ჩერნოგორიის, ბოლგარეთის და სხვა მცირე სახელმწიფოთა საქმეებს? ამიერიდან ყოველს მოძალადეს ეცოდინება, რომ მის მტაცებლურ მოქმედების გამო ჩვენს სახელმწიფოს წინააღმდეგ მას საქმე ექნება უძლიერეს სახელმწიფოთა კონცერტთან, ამ გარემოებამ არ შეიძლება არ ჩააფიქროს ყოველი მტაცებელი და პასუხისმგებლობა არ აგრძნობინოს იმ ნაყოფის გამო, რომელსაც გამოიღებს მისი მოქმედება. ეს იძლევა ჩვენი რესპუბლიკის ხელშეუხებლობის გარანტიას, ეს აძლევს სიმტკიცეს ჩვენს რესპუბლიკის არსებობას.

ეს გარემოება შექმნის სათანადო სულიერ განწყობილებას შიგნითაც ჩვენის რესპუბლიკის მესვეურთა მუშაობას უფრო მეტი იმედიანობა და უფრო მეტი შეურყევლობა დაეტყობა და მათი საქმიანობა უფრო მეტს ნაყოფს გამოიღებს. მთელი ხალხიც მეტის რწმენით მოეპყრობა ჩვენს სახელმწიფოებრივს შემოქმედებას, იგი იმ შეგნებით გაიმსჭვალება, რომ ის, რაც კეთდება ჩვენს რესპუბლიკაში, დღემოკლე და სათუთი არ არის, რომ ჩვენში შეიძლება მკვიდრ და საშვილიშვილო საქმის წარმოება.

ასეთი სულიერი განწყობილება შიგნით და გარეთ აწევს ჩვენის რესპუბლიკის კრედიტს, ყველას წინანდელზე ბევრად უფრო ადვილად გააბედვინებს მასთან საქმის დაჭერას, აღებ-მიცემობის წარმოებას, სამრეწველო დაწესებულებათა დაარსებას ამ ნიადაგზე შეიქმნება ჩვენი სახელმწიფოებრივი გამაგრება და განმტკიცება.

საბჭოთა რუსეთის ნოტა და საქართველოს პასუხი

ჩვენმა მთავრობამ უკვე მიიღო საბჭოთა რუსეთის გარეშე საქმეთა კომისარის მიერ ხელმოწერილი ნოტა, რომლის შინაარსი ამას წინეთ რადიოთ უკვე გადმოგვცა. ნოტის მთელი კილო, მისი შინაარსი იმის მაჩვენებელია, რომ ბოლშევიკური რუსეთი იძულებულია საქართველოს ისე უყუროს, როგორც სახელმწიფოს. ის წინადადება, რომლითაც მიმართავს ბ. ჩიჩერინი „საქართველოს გარეშე საქმეთა მინისტრს“, დასაბუთებულია სხვათა შორის „ქართულ სახელმწიფოს სწორეთ შეგნებულ ინტერესებით“. საბჭოთა რუსეთის სურვილია, რომ საქართველომ და აზერბეიჯანმა მასთან სამხედრო კავშირი შეჰკრან და დაიწყონ დენიკინის ჯარების სამხრეთიდან შეტევა. ბ. ჩიჩერინს სჯამს, რომ დენიკინი საქართველოს და აზერბეიჯანის მშრომელ ხალხს თავის მტრად მიიჩნია ისევე, როგორც საბჭოთა რუსეთის მშრომელ ხალხს. დენიკინის საბოლოო გასრესა, ნოტის აზრით, აუცილებლათ საჭიროა, რადგან ამით „მოისპობა თეთრ-გვარდიული ბარიერი საბჭოთა რუსეთს და კავკასიის შორის და განახლდება ურთიერთობა იმ ერთა შორის, რომლებიც უწინ ერთ სახელმწიფოს საზღვრებში ცხოვრობდენ“.

საქართველოს გარეშე საქმეთა მინისტრის საპასუხო ნოტაში ხაზგასმულია საბჭოთა რუსეთის და საქართველოს შორის ნორმალურ ურთიერთობის საჭიროება საქართველოს მთავრობის სახელით იგი გამოსთქვამს „იმედს, რომ ბოლოს და ბოლოს ორივე სახელმწიფო მოახერხებს მოლაპარაკების საშუალებით დაამყარონ თავიანთ შორის მშვიდობიანი მეზობლური ურთიერთობა“. მაგრამ იგი უარს ამბობს საბჭოთა რუსეთთან სამხედრო ხელშეკრულების ჩამოგდებაზე და დენიკინის წინააღმდეგ შეტევით ომის დაწყებაზე. საქართველო პრინციპიალურად ნეიტრალიტეტის ნიადაგზე დგას და არცა სთვლის შესაძლებლათ მას გადაუხვიოს. მან მხოლოდ ერთი სახის ომი იცის—თავდაცვითი ომი, და ამ ომს დენიკინის წინააღმდეგ უკვე ერთი წელიწადია აწარმოებს. შეტევითი ომისათვის, გარეშე საქმეთა მინისტრის აზრით, საქართველოს არც ძალა შესწევს და იგი არც მიზან-შეწონილი იქნება. არ იქნება მიზან-შეწონილი იმიტომ, რომ დენიკინის წინააღმდეგ შეტევით ომის დაწყება რუსეთის საქმეებში აშკარა ჩარევა იქნებოდა. ასეთი ჩარევა კი უფრო დააბრკოლებდა რუსეთის და საქართველოს შორის ნორმალურ ურთიერთობის ჩამოგდებას.

მთელი მიწერ-მოწერა არ შეიცავს არაფერს იმისთანას, რაც რომელიმე მხარისათვის საწყენი და დამამცირებელი იყოს. სახელმწიფო წინადადებით მიმართავს და პასუხს ღებულობს მისგან. მთელი ხასიათი და კილო მიწერ-მოწერისა თავაზიანია.

არსებითად საბჭოთა რუსეთის წინადადება და საქართველოს პასუხი მოკლეთ შეგვიძლიან ამნაირად გამოვხატოთ:

„საქართველოს ხალხის მონაწილეობა რუსეთის სამოქალაქო ომში შეუსაბამო იქნებოდა, როგორც უცხო, არა რუსული ძალების ჩარევა რუსეთის შინაურ საქმეებში, რაც კარგ სამსახურს გაუწევდა შოვინისტურ ელემენტებს და შექმნიდა დიდ დაბრკოლებას ამ ორ ხალხთა შორის კეთილ-მეზობლურ განწყობილების დამყარებისთვის“.

საბჭოთა რუსეთი თხოულობს, რომ საქართველო ჩაერიოს რუსეთის საქმეებში, საქართველო კი სხვის საქმეებში ჩარევას შეუწყნარებლათ სთვლის. ვინ დგას უფრო სწორ ნიადაგზე? დაკვირვებული მკითხველი საბჭოთა რუსეთის ნოტაში ერთნაირ წინააღმდეგობას შეამჩნევს: ერთი მხრით იგი საქართველოს „სახელმწიფოს“ უწოდებს და ელაპარაკება, როგორც ასეთს, მეორეს მხრით კი იგი მოითხოვს, რომ ეს უცხო სახელმწიფო რუსეთის საქმეებში ჩაერიოს და მის სამოქალაქო ომში მონაწილეობა მიიღოს. ჩვენ არა ერთხელ წაგვიკითხავს „კომუნისტურ“ პრესაში ის აზრი, რომ დენიკინმა და კოლჩაკმა სამშობლოს უღალატეს იმით, რომ უცხო ძალები მოიწვიეს სამოქალაქო ომში დასახმარებლათ. არა გვგონია, რომ საბჭოთა რუსეთის მესვეურთ ამის შესახებ დღეს თავისი აზრი შეეცვალოთ. და თუ უცხო ძალების მოწვევა რუსეთის საქმეებში ჩასარევათ კოლჩაკ-დენიკინის მხრივ ასეთი დიდი დანაშაულია, მაშ რათ სჩადის ამასვე საბჭოთა რუსეთი? რათ იწვევს უცხო სახელმწიფოს საქართველოს და აზერბეიჯან—რუსეთის სამოქალაქო ომში ჩასარევათ?

ჩვენ ერთის გვეშინიან: ეს წინააღმდეგობა იმით ხომ არ აიხსნება, რომ საბჭოთა რუსეთს მტკიცეთ და საბოლოვოთ არა აქვს შეთვისებული საქართველოს დამოუკიდებლობა და მისი უფლება სახელმწიფოებრივ არსებობისა?

ზეიმი და მხიარულება

ორი დღეა თფილისი ზეიმობს და მხიარულობს. ალბათ კიდევ გაგრძელდება. ზეიმი და მხიარულება—ეს გრძნობაა ჰაერშია. მეც მინდა შევხსნა ჩემს გრძნობებს ცივი პოლიტიკური არტახები, რომ ერთხელ მაინც ფრთა შემოჰკრას და „შავს ნიავს მისცეს ფიქრი ჩემი მწარეთ მღელვარე“.

ორი დღეა თფილისი ზეიმობს. აგორებული სიხარულის ზვირთები ერთი მეორეს მისდევს, აქ უსწრებს, იქ უკან რჩება, გზა და გზა ერთი მეორეს ეხეთქება და მისი ნაფიზხიალები ვერცხლის ნაწვეთებს აცვამს საზეიმოთ მორთულ-მოკაზმულ არე-მარეს.

დღეს ეს ტალღა რესპუბლიკის შუაგულში გაიჭრება, მის სივრცეზე გაიპნევა, მერე ისევ თავს მოიყრის და მის აქაფებულ სრბოლაში გამოჩნდება ნავი პატარა წითელი დროშით, რომელიც ხელთ უპყრია ჩვენი ხალხის მესვეურს, ჩვენს ნოე ჟორდანიას.

როგორი მოკრძალებით, როგორი სიყვარულით შეხვდება ამ ნავს მადლიერი ერი და როგორის მზრუნველობით და სისათუთით მოჰფენს უკვდავების ყვავილებით მის სავალ გზას...

ბევრი სიხარული უნახავს თფილისს, ბევრი მწარე დღეებიც გადაუტანია—მაგრამ ეს დღე ერთია, ის არ გავს არც ერთ ნახულს და გაგონილს.

ცნობა დამოუკიდებლობისა ელვის სისწრაფით მოედო მთელ ქალაქს. მყისვე შეწყდა მუშაობა ყოველგან და ხალხმა აწყო დენა სასახლისკენ პირველი ესტუმრა სახალხო მასწავლებელთა ყრილობა. შეიძლება ამას სიმბოლიური მნიშვნელობაც ჰქონდეს: ცნობა დამოუკიდებლობისა იწყება ჩვენი ქვეყნის

დღეს

ბოლშევიკების ცნობით პოლონეთი საგანგებო კონფერენციას იწვევს ბოლშევიკებისაგან თავდაცვის ორგანიზაციის მოსაწყობათ. კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებენ ლატვია, ლიტვა, ესტონეთი, ფინეთი, უკრაინა და კავკასიის რესპუბლიკები.

„ვარშავსკოე სლოვოს" გამოანგარიშებით, ომის გამოცხადებიდან რუსეთს დაუკარგავს მკვდრების, დაჭრილების და ავათმყოფების სახით 35 მილ. კაცი.

გერმანული პრესის ცნობით გერმანიაში მოსალოდნელია რკინის გზელთა გაფიცვა.

საფრანგეთის რწმუნებულათ ბერლინში დაინიშნა მარსილი.

კულტურის შემქმნელ-მშენებლების პირველი მილოცვით. მასწავლებლებს მოჰყვა სახელოსნოს მუშები პირდაპირპირ სამუშაოდან თავის გამურულ ტანსაცმელში.

რა საუცხოვო სიუჟეტია ხელოვნის ყალმისათვის!

სახელოსნოს მუშებს სხვა დარგის მუშები, მათ კიდევ გვარდია, მერე კიდევ ჯარის ნაწილები—ვინც როგორ მოასწრო, ვინც როგორ მოახერხა. რუსთაველის პროსპექტზე უეცრათ დროშათა ტყე აღიმართა. გრილი ნიავი ნელა არხევდა ამ წითელ ტყეს და ისიც ნაზი შრიალით, ამბორის ყოფით, ამავე ნიავს შორს, შორს ატანდა ერის სიხარულს ერის სიყვარულს.

მთელი დღე ეს სიხარული თავს დაციალებდა თფილისის ყველა ქუჩებს, ხან აქ შეჩერდებოდა, ხან იქ, მუსიკა სიმღერას სცვლიდა, სიმღერა მუსიკას, აქ-იქ ორივე ერთად და ასე ერთი მეორის მწყობრ სიმფონიაში დისონანსი შეჰქონდა, მე მიყვარს მუსიკაში დისონანსი და იქნებ ამიტომ ეს ნარევი, თუ არეული—ყველაზე მეტად მატკბობდა.

საღამოს სახელმწიფო თეატრში საზეიმო ოპერა დადგეს. აქაც ზეიმი, ჰიმნი, მილოცვა, საერთო მხიარულება. თერთმეტ საათზე ქართულ კლუბში დიდი ბანკეტი გაიმართა. დაესწრნენ მთავრობის, დამფუძნებელი კრების წევრები, სენატორები, მისტერ უორდროპი თავის მისიის წევრებით, გვარდიის და ჯარის წარმომადგენლები და სხვა მრავალი.

დაიწყო ლხინი, ლხინი ჩვენებური, ძველებური. აზარფეშა და ალავერდი, ლეკური და უზუნდარა, დუდუკი და მუსიკა ერთი მეორეს ეჯიბრებოდნენ, ერთი მეორეს ეცილებოდენ. მაგრამ რაც ყველაზე უკეთესი იყო, ეს ქ. ქ. თარხნიშვილების სიმღერა. ერთ ადგილას ჰეინე ამბობს: მე მიყვარს საღამოობით ზღვის პირათ ჯდომა. როცა ღამის წყვდიადი თავის შავ მანდილს გადააფარებს დედამიწას, ირგვლივ საშინელი სიჩუმე გამეფდება და ყოველივე პირველ ძილს მიეცემა, ამ დროს ზღვის ფსკერიდან ამოდიან მშვენიერი ნიმფები, ხტუნაობენ ჩემს ირგვლივ და როცა დაიღლებიან იქვე ახლო, ზღვის ნაპირას ჩამწკრივდებიან და ისეთ სიმღერას დაიწყებენ, რომ ნეტარებას მეშვიდე ცაზე ავყავარ, იქ ვისმენ ანგელოზთა გუნდის დამათრობელ სიმფონიას და ვნატრობ: რატომ არ არის მუდამ ღამეო.

და აი როცა ქ. ქ. თარხნიშვილებმა მეცხვარე იმღერეს, შეზარხოშებული დარბაზიც ისე დაიპყრეს, რომ ბუზის გაფრენასაც კი გაიგონებდით და ამ სიჩუმეში მათი სევდიანი კილო ხან ახწევდა მთელ დარბაზს და სადღაც შორს გადაისროდა, ხან კიდევ სევდის ისეთ მორევში ჩასძირავდა, საიდგანაც თითქოს ამოსვლა აღარ შეიძლებოდა. მრავალი უხილავი ადგილები მიმოვიარე ამ სიმღერის დროს. ბევრი თითქოს მორჩენილი იარა ისევ აიშალა, ვიხილე მრავალი იმათგანი ვინც დავიწყებული მეგონა და როცა გამოვერკვიე, თითქმის გასაგონათ გავიმეორე ჰეინე: რატომ არ არის მუდამ ღამეო. ჰეინეს რომ ეს სიმღერა მოესმინა, დარწმუნებული ვარ ნიმფების გამოგონება აღარ დასჭირდებოდა.

ზეიმობს და მხიარულებს თფილისი. მაგრამ ამ ზეიმში უნდა მოიგონოს ძველი კეისარი და მისი მონა. კეისარს მეტად უყვარდა ლხინი. წინ კი მრავალი საფრთხე ელოდა. რომ კეისარი თავდავიწყებამდის არ მისულიყო, მას თან დასდევდა მონა, რომელიც მუდამ ჩასჩიჩინებდა: გეყოფა და საკმარისია. არ დაივიწყო საშიშროება, რომელიც წინ გვიდგაო.

ასეთი საშიშროება ჯერ კიდევ უდგია წინ ჩვენ ხალხს და ამ ზეიმის დროს ის ერთი წუთითაც არ უნდა იქნას დავიწყებული.

განი.

დამოუკიდებელი საქართველო

დღესასწაული

დაახლოვებით დილის 11 ნახ. საათზე თფილისის გაზეთის რედაქციებმა მიიღეს ცნობა მოკავშირეთა უმაღლეს საბჭოს მიერ საქართველოსა და ადერბეიჯანის დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ.

არ გასულა რამოდენიმე წუთიც,—თფილისის ყველა ქუჩები შეიმოსა ნაციონალური და წითელ დროშებით; ქუჩებში დაიწყო თავისუფალი დემონსტრაციები.

გვარდიისა და ჯარის ნაწილები დროშებითა და მუსიკით გაემართენ სასახლისაკენ. დაახლოვებით 12 საათზე რუსთაველის პროსპექტით გაიარა მასწავლებელთა ყრილობის მთელმა შემადგენლობამ, რომელსაც თან ახლდა სახალხო განათლების მინისტრი თავისი ამხანაგებით და დამფუძნებელი კრების წევრები. მთავრობის დაწესებულებათა შენობასთან მანიფესტაციას უერთდება სამხედრო მინისტრი.

სასახლემდი მანიფესტაციას აუარებელი ხალხი შეუერთდა; მანიფესტანტებმა დაიჭირეს მთელი მოედანი სასახლის წინ. სასახლის აივანზე გამოდის შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. ბ. რამიშვილი რომელსაც ხალხი „ვაშა"-ს და „გაუმარჯოს საქართველოს" ძახილით ხვდება.

მინისტრი მოკლე სიტყვით მიულოცავს ხალხს ბრწყინვალე დღესასწაულს. მის შემდეგ სიტყვას ამბობენ სამხედრო მინისტრი და დამფუძნებელ კრების თავმჯდომარე.

ხალხი დაუსრულებელ ტაშის ცემით და ხმამაღლა ძახილით ითხოვს მთავრობის თავმჯდომარის, ნ. ნ. ჟორდანიას გამოსვლას. შინაგან საქმეთა მინისტრი, ნ. ბ. რამიშვილი აცხადებს, რომ ნოე ავათაა და არ ძალუძს ილაპარაკოს; ხალხი ამან არ დააწყნარა და კიდევ უფრო ხმა მაღლა გაისმა: „გამოვიდეს და დაგვენახოს მაინც!" გამოჩნდება ნ. ნ. ჟორდანია მთავრობის თავმჯდომარის კაბინეტის აივანზე და ულოცავს მანიფესტანტებს მოპოვებულ დამოუკიდებლობას. მთავრობის თავმჯდომარეს დაუსრულებელი ოვაციები გაუმართეს.

სასახლიდან მანიფესტანტები გაემართენ ბრიტანეთის უმაღლეს კომისარს მისტერ ოლივერ უორდროპისა და ამერიკის წარმომადგენლის პოლკ. ჰასკელის ბინებისაკენ.

დღის 3 საათზე რუსთაველის პროსპექტისაკენ იწყეს დენა თფილისის ყოველ კუთხიდან მუშებმა, გვარდიისა და ჯარის ნაწილებმა და მრავალ ათას მოქალაქეებმა.

შეიარაღებული ნაწილები რუსთაველის პროსპექტის ორივე მხარეზე ჩამწკრივდენ. ქუჩის შუა გულში თავი მოეყარათ სხვა და სხვა რაიონის მუშებს დროშებით და ორკესტრით. როგორც ჯარის ნაწილებმა, აგრეთვე გვარდიელებმა ცერემონიალის მარშით გაიარეს სასახლის წინ, სადაც იდგენ მთავრობის და დამფუძნებელ კრების წევრები.

სასახლის აივანზე გამოჩნდა ნ. ნ. ჟორდანია, რომელსაც დიდის ოვაციებით ეგებება ყველა. ესალმებიან აგრეთვე ოლივერ უორდროპს, რომელიც ნ. ჟორდანიას გვერდით მოთავსდა. მთავრობის თავმჯდომარე მუშებს მიმართავს სიტყვით და ამბობს, რომ დღევანდელი დღე არის საქართველოს დემოკრატიის საზეიმო დღე და მისი მუშათა კლასის პოლიტიკის გამარჯვება. ეს პოლიტიკა თავიდანვე, ამ სამი ან წლის წინათ, თქვენ მიერ შეთვისებული და მოწონებული იყო. მისი შედეგებით შეგვიძლიან განვსაჯოთ თუ რამდენად მიზან-შეწონილი იყო იგი თქვენ მიერ მრჩეულმა გზამ მიგვახწევინა, რომ დღეს ასეთი ზეიმია. მე გისურვებთ თქვენ შემდეგშიაც განაგრძოთ ამ გზით სიარული. და ამ გზიდან არ გადაუხვევდეთ არავითარმა გარეშე ძალამ და უმთავრესათ იმ ძალამ, რომელიც მხოლოდ ანადგურებს და არაფერს კი არ ქმნის. ნ. ჟორდანია თავის სიტყვის დასასრულს უსურვებს მათ, რომ უკანასკნელ შეძლებლობამდის დაიცვან თავიანთ მიერ არჩეული სწორი გზა. ნ. ჟორდანიას სიტყვა ხანგრძლივ ოვაციებს იწვევს.

შემდეგ ლაპარაკობს საგარეო საქმეთა მინისტრი ევ. გეგეჭკორი, რომელიც აღნიშნავს, რომ ქართველი ერის საუკუნებრივ სურვილებს ფრთა შეესხა, საქართველოს ხალხი დასავლეთ ევროპის ორიენტაციის გზას დაადგა და ამ ჩვენ სურვილებს და ზრახვებს ერთგული დამცველი გაუჩნდა ოლივერ უორდროპის სახით, რომლის ოცდა ათის წლის შრომა გამარჯვებით დაგვირგვინდა. (მუშები, ჯარისკაცები და გვარდიელები ვაშას ძახილით მიესალმებიან უორდროპს. უორდროპი ქართულ ენაზე უპასუხებს:—„გაუმარჯოს საქართველოს". შემდეგ ამისა მუშებს ესალმება მხურვალე სიტყვით ისიდორე რამიშვილი.

მთელ საღამოს ქუჩებში აუარებელი ხალხი იყო. სასახლე და საზოგადოებრივ დაწესებულებანი გაჩირაღდნებული იყო. ქალაქის განაპირა უბნებსაც საზეიმო ელფერი ჰქონდა: მანიფესტანტები მუსიკით და სიმღერით რიგ რიგობით უორდროპის, ჰასკელის, მინისტრების ბინაზე მიდიოდნენ და ულოცავდნენ. მანიფესტაციები ღამის ათ საათამდე გაგრძელდა. ღამე დიდი ბანკეტი გაიმართა ქართულ კლუბში. საზეიმო ოპერა დადგეს სახელმწიფო თეატრში. ზეიმი აქა-იქ დილამდის გაგრძელდა.

პრესა

საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებას მოკავშირე სახელმწიფოთა მიერ, ერთნაირის აღფრთოვანებით შეხვდა თფილისის პრესა, განურჩევლად მიმართულებისა.

„სახალხო საქმე":

დიდია მნიშვნელობა ამ აქტისა. ეს აქტი რომ ადრე მომხდარიყო, ჩვენ დღეს უფრო უკეთეს მდგომარეობაში ვიქნებოდით, მაგრამ ჩვენ მოგვიხდა ცდა ცხრამეტ თვესა და თექვსმეტ დღეს, რომ საქართველო თავისუფალ რესპუბლიკათ ეცნოთ და ისიც შესულიყო, როგორც თანასწორი წევრი საერთაშორისო ოჯახში.

„თავის თავად ეს ცნობა არ იყო მოულოდნელი. ჩვენ ყოველთვის ვამბობდით, რომ საქართველოს დამოუკიდებლად არსებობა არ ეწინააღმდეგება დიდ სახელმწიფოთა ინტერესებს, აგრეთვე აღვნიშნავდით, რომ კერძოდ ინგლისისათვის რუსეთის ძველ საზღვრებში აღდგენა არაა ხელსაყრელი, კავკასია ეს ის ბარიერია, რომელიც ინგლისის სამფლობელოს დააშორებს რუსეთს, როგორც უნდა იყოს იგი—წითელი თუ შავი. სხვა სახელმწიფოებიც დარწმუნდენ, რომ საქართველოს დამოუკიდებელი ცხოვრება შემთხვევითი მოვლენა კი არ არის, არამედ იგია ნამდვილი გამოხატულება ხალხის ნება-სურვილისა. და ამიტომ ინგლისმა, ამერიკამ, საფრანგეთმა, იტალიამ და იაპონიამ აღიარეს ჩვენი დამოუკიდებლობა.

ჩვენის აზრით ეს აქტი ჰნიშნავს იმას, რომ მოკავშირენი საბოლოვოდ დარწმუნდნენ მოხალისეთა და საზოგადოთ რეაქციონერ რუსეთის უძლურობაში. ამიტომ ისინი აუცილებლათ მოურიგდებიან იმ ძალას. დღეს რომ ფაქტიური ბატონია რუსეთისა—კომუნისტებს. ჩვენ წინაღმდეგნი ვიყავით და დიდ შეცდომათ მიგვაჩნდა მოკავშირეების პოლიტიკა რუსეთის საქმეებში ინტერვენციისა. და რასაკვირველია დემოკრატიული საქართველო ამას ვერა შემთხვევაში თითონ ვერ იზამს. ჩვენ შეძლებით კეთილი განწყობილება დავამყაროთ ყველა ჩვენ მეზობლებთან".

* * *

„საქართველო":

მოეღო ბოლო საქართველოს სახელმწიფოებრივობის გამოურკვევლობას. მოეღო ბოლო ქართველი ხალხის ნერვიულ მოლოდინს და შიშს.

საქართველოს საკითხის გარშემო გაისკვნა მძიმე კვანძი, რომლის გახსნას ევროპა დიდის სიფრთხილით აპირობდა, დღეს ეს მძიმე კვანძი უკვე გაიხსნა, და მთელი მსოფლიოს წინაშე საქართველოს დამოუკიდებლობა ფაქტად იქცა.

მიებარა წარსულს ასი წლის მონობა, ევროპასთან დამოკიდებულობის პირველი სიძნელენი და მწარე გაუგებრობანი, ევროპის ქვეყნების რყევა ჩვენი დამოუკიდებლობის საქმეში და რესპუბლიკის მცხოვრებთა შიში, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა არ იქნება ცნობილი. ყოველივე ეს წარსულია, ჩვენი მატიანეს ერთი ფურცელი. საქართველოს თავისუფლმა სახელმწიფოებრივობამ მტკიცედ შემოდგა ფეხი ჩვენს ცხოვრებაში და ქართველი ხალხი მოწიწებით ეგებება ამ უდიდეს დღესასწაულს.

დღეიდან ჩვენი სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა მეტის სიმტკიცით და სიბეჯითით იწარმოებს.

რესპუბლიკის მცხოვრებთა შემოქმედებითი მუშაობა სახელმწიფოებრივი სიმკვიდრის შესაქმნელად ახალი ძალებით შეიმოსება. მტკიცე იმედი სასურველი მომავალისა იქნება წინამძღვარი ყოველივე ჩვენი მუშაობისა. ამიერიდან საქართველო, როგორც მთლიანი ერთეული და ყოველივე მისი ნაწილი საქართველოს კეთილდღეობისთვის იმუშავებს, მის საბედნიერო მომავლის გასაშენებლათ იშრომებს".

* * *

„სლოვო":

„საქართველოს და ადერბეიჯანის სიხარულს იზიარებს ამიერ-კავკასიის მესამე რესპუბლიკაც—სომხეთი, რომლის დამოუკიდებლობის აღიარებასაც სწყვეტს ორი პირველის ცნობა. დიდხანს ელოდნენ ამ დღეს ამიერ-კავკასიის ერები, რადგანაც ცნობა მათი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღიარებას მოითხოვდა სამართლიანობის ხმა და საერთაშორისო სინდისი. კიდევ მეტი. ეს მათ ტანჯვა წამებით დაიმსახურეს და მოიპოვეს შეუჩერებელ აღმშენებლობით მუშაობით, ნაციონალური შემოქმედების გამოჩენით და პოლიტიკური გამჭრიახობით და თავიანთ მატერიალურ და სულიერ სიმდიდრეთა გმირული დაცვით გარეშე და შინაურ მტრებისაგან. დასავლეთ ევროპას დიდხანს ვერ გადაეწყვიტა გადაედგა ეს სამართლიანი ნაბიჯი არა იმიტომ, რომ არ აფასებდა ამიერ-კავკასიის ერთა უფლებებს, არამედ იმიტომ, რომ სურდა თავისი გადაწყვეტილება ყოველ მხრივ უზრუნველეყო და მისთვისაც ამოირჩია ხელსაყრელი მომენტი. ასეთი მომენტი ახლა დადგა. სრულის იმედით თავის შემოქმედებითი ძალის და სურვილით, რომ კვლავ განაგრძონ მუშაობა საკუთარ კულტურისათვის და მსოფლიო ცივილიზაციისთვის შედიან საქართველო, სომხეთი და ადერბეიჯანი დამოუკიდებელ ნაციათა თავისუფალ ოჯახში".

* * *

„აშხატავორმა", უეჭველია, ვერ მოასწრო ცალკე წერილის მოთავსება. სამაგიეროთ, გაზეთის მეორე და მესამე გვერდები დიდი ასოებით აუწყებს მკითხველებს:

„უმაღლესმა საბჭომ აღიარა საქართველოს და ადერბეიჯანის დამოუკიდებლობა; გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის თავისუფალ და დამოუკიდებელ რესპუბლიკებს".

მილოცვები.

სოხუმიდან მთავრობას და დამფუძნებელ კრების წევრს აკაკი ჩხენკელს.

დიდ მნიშვნელოვან სასიხარულო დღეს, როგორც მოქალაქე ვულოცავ ქართველ ხალხს და მის მთავრობას, რომლის მოღვაწეობის შედეგია, რომ საქართველოს ისტორიული უფლებები აღიარეს და მისი დამოუკიდებლობა იცნეს, რაც შეძლებას აძლევს ხალხს განვითარდეს და აყვავდეს. მომავალი თაობა არ დაივიწყებს და დააფასებს თქვენს ისტორიულ დამსახურებას სამშობლოს წინაშე, როგორც თავის სამშობლოს ღირსეულ შვილისას. ამ ბედნიერების დღეს აღტაცებული გიძღვნით მხურვალე სალამს და გისურვებთ კვლავაც ასე ნაყოფიერათ ემუშავნოთ ჩვენთვის ძვირფას საქართველოს საკეთილდღეოთ, გაუმარჯოს საქართველოს, გაუმარჯოს მთავრობას და მის მეთაურს ნოე ჟორდანიას, გაუმარჯოს საქართველოს ყველა სახელმწიფო მოღვაწეებს, რომლებიც თავიანთ შრომას სწირავენ საქართველოს სამსხვერპლოზე!

ჯიტო შერვაშიძე.

სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს.

ჩვენ სავადმყოფოში მწოლარე ავადმყოფი სახალხო გვარდიელები გიძღვნით ჩვენს მხურვალე სალამს ანტანტის მიერ ჩვენი დამოუკიდებლობის ცნობის გამო. ისე როგორც დღემდის შემდეგშიაც გაორკეცებულის ენერგიით ვიბრძოლებთ ყველა რეაქციონერების და ჩვენი თავისუფალი სამშობლოს მტრების წინააღმდეგ.

საუბარი სოფლის ხალხთან

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა!

იყო შაშვი მგალობელი ღმერთი თქვენი მწყალობელი!

ჩვენი ხალხი ხომ ასე იწყებს ხოლმე ზღაპარს.

აი მეც მინდა, სწორეთ ასე დავიწყო. იყო და არა იყო რა, იყო ორი ძმაკაცი. ბევრსა მუშაობდენ, მაგრამ მაინც მშივრები იყვნენ. მიწა ცოტა ჰქონდათ, ისიც კლდიანი; ჩამოირეცხა თანდათან და აღარ მოჰქონდა მოსავალი.

ამბავი მოვიდა, მავან და მავან ალაგას ისეთი მიწაა, რომ სახნელათ მოგინდება და მოსავალი ხომ იმდენი იცის, რომ ვერ მოლევო.

გადახედ გადმოხედეს ერთმანეთს და გადასწყვიტეს: მოდი გაუდგეთ გზას, მოვძებნოთ და თუ მართალია, რასაც ამბობენ, გადავსახლდეთ,—აქ რას ვიხოცებით შიმშილითო.

დიდი იარეს, პატარა იარეს, მივიდენ კითხვა კითხვით ახალ ქვეყანაში.

ნახეს, რა ნახეს!

სასმელი და საჭმელი თავზე საყრელი ჰქონდა ყველას. დაუმუშავებელი ადგილი ხომ იმდენი იყო, რომ თუნდა ათასი სოფელი მოთავსდებოდა ზედ—გიჟები ხომ არავართ, უკან დავბრუნდეთო, და შეუდგენ ახალ მოსახლეობას.

ცალ ცალკე დასახლდენ, რადგანაც ტყე და სახნავი მიწა ულეველი იყო.

პატარა სული რომ მოიდგეს, გადასწყვიტეს ვენახის გაშენება.

იშოვნეს ვაზის ნერგი, დაბარეს მიწა, დარგეს და დატრიალებდენ თავს.

გავიდა წელიწადი,—არც ყურძენია, არც ნუხუ!

თუ ვენახმა არ მოისხა, ნუნუა საიდან იქნება.

გავიდა მეორე, მესამე. სულ მოვლა და შრომა, შრომა და მოვლა, ხარჯი,—ღვინო კი არა!

— მე ამას როდემდის უნდა ვუცადო, ამდენი ხარჯისა და დავიდარაბის თავი სადა მაქვსო. მოუვიდა გული ერთ ძმას, მოდგა და ერთიანათ აჩეხა ვენახი,—ისევ პური დათესა. ზაფხულზე საუცხოვო მოსავალი მოუვიდა. ფრიად გახარებული იყო.

მეორე ძმა კი უვლიდა ერთგულად ვენახსა და ამბობდა:

მე ჩემსას არ დავაკლებ და, როცა იქნება, ღვინოს ქვევრში ჩავასხამო.

გავიდა კიდევ რამდენიმე წელიწადი და იცით, რა მოხდა?

რა თქმა უნდა იცით.

მეორე ძმას ქვევრები სავსე აქვს და ხან თეთრს მიირთმევს, ხან წითელს.

სულწასული კი დღესაც ხახა-მშრალია.

რძალო, შენ გეუბნები და მულო, შენ გეყურებოდესო, ნათქვამია.

ეს არაკიც საზოგადოთ მოვიყვანე და სოფელში ვისაც მოთმინება არა გაქვთ და სული ცხვირში გიდგიათ, თქვენ გეყურებოდეთ.

ვიცი, თქვენში ბევრი ამბობს: თუ მე ველარაფერს მოვესწრები, მერე გინდა დამდგარა კაი დროება და გინდა არაო.

ხომ იცით, პაპა რომ მსხალს მყნიდა.

შვილისშვილი შეაჩერდა და შემდეგ დასცინა: პაპა, რათ იწუხებ თავს, შენ ხომ მაინც აღარ მოესწრებაო.

— მე თუ არ მოვესწრები, შენ ხომ მოესწრებიო, უპასუხა პაპამ და განაგრძო თავისი საქმე.

დარცხვენილი შვილისშვილი კი უკან გამობრუნდა.

ვისაც მოთმინება ექნება, ბევრს მოესწარით და კიდევ ბევრს მოესწრებით.

თუ რომელიმე ჩვენგანი არ მოესწრება და მთელი ქვეყანა ხომ ერთ დღეს არ გაწყდება?

ვინც დარჩება, ის მოესწრება.

განა ეს ცუდი საქმეა?

ჩვენ კი განა ცოტას მოვესწარით, განა ცოტა რამ მოგვიტანა წარსულმა წელმა?

სიმართლის გამარჯვება მოგვიტანა, დაჩაგრულების აღდგენა, მეფეების ტახტის დანგრევა.

— ეჰ, შე დალოცვილო! ცოტა ხდება უსამართლობა ჩვენ დროში? იტყვით თქვენ.

ჰხდება, როგორ არა ჰხდება

აი ამას წინეთ ერთი სოფლის მუშა შემომჩიოდა: სათემო ერობას იმისთანა კაცები მოექციენ სათავეში, რომ სულ ტყავს გვაძრობენო.

— მერე ის კაცები ვინ აირჩია, ჩემო ნათლია და კეთილო? ვეკითხები.

— ვინ აირჩევდა, ისევ სოფელმა აირჩია.

— შენც ხომ მიეცი კენჭი?

— მივეცი, როგორ არა.

— მერე როგორ არ იცოდი, ვის აძლევდი კენჭსა?

— აბა რა ვიცოდი, შუბლზე ხომ არ ეწერათ, ამისთანა და ამისთანა ვართო.

— მაგას ტყუილს მეუბნები, შენ სოფელში ვინ რა კაცია, როგორ არ იცი?

— ცოდნით კი ვიცი, მაგრამ დაასახელა და მეც რაღა მექნა ხათრი ველარ გავუწიე, ავიღე და ჩავუგდე თეთრი.

— ჰოო, მაშ სხვას რაღას უსაყვედურებ, შენი თავი უნდა გაამტყუნო.

— სოფელი ხო იცი, შე დალოცვილო, ყრუ არი. შეუგნებლობითა და ხათრით ბევრი საქმე ფუჭდება.

ჩემი ნაცნობი სოფლელი ამ შემთხვევაში მართალი იყო. სოფელი ზოგან მართლაც ყრუ არის; თვითონ საქმეს წაახდენს და მთავრობასა და ახალ დროს კი ემდურის.

თქვენ მეტად დიდი უფლება გაქვთ, თუ ფხიზლათ იქნებით და მოიხმართ. თუ ვერ მოიხმართ, ვისი ბრალი იქნება? რა თქმა უნდა, თქვენი.

მაგრამ საქმე იმაშია, რომ სხვისი გამტყუნება და გინება ადვილია, საკუთარი თავისი კი ძნელი.

ერთი სოფლელი ღამის მატარებლით ხაშურში მიდიოდა. დაეძინა და სამტრედიაში გამოეღვიძა.

— აი შენი მამგონი კი ამოაგდო ღმერთმა, შენი მამგონიო, მოსდგა რკინის გზას.

რა თქმა უნდა, რკინის გზის მამგონმა მეტათ სასარგებლო და კარგი რამ მოიგონა, მაგრამ შენ რომ მძინარა და უხეირო იყო, რკინის გზა რა შუაშია?

თავისუფლება, დემოკრატიული წყობილება, დემოკრატიული ერობა მეტათ დიდი და სასარგებლო საქმეა, მაგრამ თქვენ რომ ვერ მოიხმაროთ, ვისი ბრალია?

აი თქვენ, სოფლის ხალხს, ისეთი უფლებები გაქვთ დღეს, როგორიც ზოგიერთ განათლებულ ქვეყანაშიც კი ვერ მოუპოვებია ჯერ ხალხს.

სოფელი ჩვენში საკუთარი თავის ბატონია.

არ გჯერათ?

მაშ ყური დამიგდეთ. იქნება მე ვტყუი, თქვენ კი მართალი ხართ.

წინეთ ვინ იყო თქვენი მბრძანებელი? ბოქაული, შემდეგ მაზრის უფროსი—ნაჩალიკს რომ ეძახდით. მერე გუბერნატორი — თქვენებურათ ღუბერნატორი. ესენი ბრძანებდენ, თქვენ უნდა აგესრულებინათ. ესენი იყვენ უფროსები, თქვენ მათი მორჩილი; ესენი იყვენ ბატონები თქვენ მათი ყმები.

დღეს კი ვინ არის თქვენი ბატონი?

გარწმუნებთ არავინ.

ერთათ ერთი მთავრობა გვყავთ, რომელიც მთელი ხალხის მიერ არის არჩეული.

ქვეყნის სათავეში მდგომ მთავრობას კი ყველა უნდა ვემორჩილებოდეთ,—უამისოთ ქვეყნის საქმე ვერ წავა კარგათ.

მერე როგორ გეპყრობათ, რას გეუბნებით ეს მთავრობა?

— დამეხმარეთ ქვეყნის აშენებაში, აი კანონები და იცხოვრეთ ადამიანურათ, თქვენ თვითონ უწინამძღვრეთ თქვენი სოფლის საქმეებს, მე კი თქვენი მფარველი და დამხმარე ვიქნებიო.

ერთი მიბრძანეთ, რა ჯობია ამას? წინეთ თავში გირახუნებდათ ძველი მთავრობა და გიბრძანებდათ: ხმა, კრინტი არ დაძრა, რა შენი საქმეა სოფლის წინამძღოლობაო.

დღეს კი ახალი მთავრობა გეუბნებათ: მომიცია აი ახალი კანონები და თქვენვე უპატრონეთ თქვენს სოფელს, მე კი მფარველათ და პატრონათ გეგულებოდეო.

თუ ვერ მოიხმართ ამ უფლებებს, რა შუაშია აქ მთავრობა და თავისუფლება?

თქვენა გაქვთ ახალი კანონით ერობა. სოფლის საქმეებს განაგებს სათემო ერობა, მაზრისას—სამაზრო ერობა.

კანონით თქვენა გაქვთ სრული უფლება ამოირჩიოთ, ვინც გინდათ, ერობის სათავეში ჩააყენოთ, ვინცა გსურთ. ამ გვარათ მთელი სოფლის, თემის, მაზრის ბატონ-პატრონნი და გამგე თქვენა ხართ.

და თუ მიუხედავათ ამისა საქმე მაინც კარგათ ვერ წავა, ცხადია, თქვენ თვითონ არ ვარგებულხართ.

ერთი რამ უნდა გითხრათ: თქვენ ჯერაც კარგათ ვერ გამორკვეულხართ, თუ რა ხდება ქვეყანაზედ.

ბატონის წყალობასა ხართ შეჩვეული და საკუთარი საქმის კეთება საერთო ძალღონით ჯერ კარგათ არ გეხერხებათ.

მთავრობამ უნდა გაგვიკეთოს, მთავრობამ უნდა მოგვცეს, მთავრობა უნდა შეგვეწიოსო, სულ ამას ლაპარაკობთ.

კარგი და პატიოსანი.

მთავრობა იმისი მთავრობაა, რომ კიდეც უნდა გააკეთოს, რაც გასაკეთებელია, კიდეც უნდა დაგეხმაროსთ.

მაგრამ ერთხელ მაინც დაეკითხებიხართ თქვენს თავს: თქვენც ვალდებულნი ხართ თუ არა, რომ დაეხმაროთ მთავრობას?

ხანდახან, თუ კი გიამბობთ რამე, თოფის წამალსავით იფეთქებთ უცებ და ყველაფერზე მზათა ხართ. მაგრამ გაივლის ხანი და ჯერი როცა საქმეზე მიდგება, ყველა უკან იხევთ:

აბა მე რა შემიძლია, მე საწყალი ვარ, სარჩო მაკლია, ცოლ-შვილი შესამოსი მყავს—ზოგი რას იმიზეზებს, ზოგი რასა.

ხომ გაგიგონიათ; მიზეზ-მიზეზ, დოს მარილი აკლიაო.

ვინც ბრიყვი და ობერია, იმისთვის რასაკვირველია აკლია; მაგრამ ვინც კარგი კაცია, თავისი ყადრიც იცის და ქვეყნისთვისაც გული შესტკივა, იმისთვის დოს მარილი არა სჭირია.

— გადასახადს არ გადვიხდიო, შვილს ჯარისკაცათ არ გავაგზავნიო, საქვეყნო საქმე რას დავეძებო, ამბობს ბევრი სოფელში.

შე კაი კაცო, თუ მთავრობას ხელს არაფრით შეუწყობ, რითი გააკეთოს ქვეყნის საქმე მთავრობამ?

მთავრობას რომ არა, აქამდინ მტერი ათჯერ მაინც აგვაოხრებდა.

მტერი ჯერ კიდევ ბევრი გვყავს და დიდი სიფრთხილე, მოთმინება და სიმტკიცე გვმართებს ყველას.

სულწასულობითა და სირეგვნით აბა მითხარით, ვინ დაწინაურებულა?

არავინ.

მოთმინება და ჭკუა აკეთებს ყველგან საქმეს.

— შე დალოცვილო, როდემდის უნდა ვითმინოთო, იკითხავს ზოგი თქვენგანი.

როდემდის და იქნამდის, სანამ ყველა მტრებს არ დავამარცხებთ და არ მოვეწყობით ისე, როგორც შეგვშვენის და შეგვეფერება.

ხომ გახსოვთ დენიკინი რომ გვემუქრებოდა; ასე გიზამთ, ისე გიზამთ, თუ არ დამემორჩილებითო.

ჩვენ რომ შევშინებულიყავით, გული გაგვტეხოდა და ქედი მოგვეხარა, თქვენს მტერს ის ყოფა, რა ყოფაშიაც ახლა ჩვენ ვიქნებოდით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამოუკიდებელ საქართველოს

— —

დღეს კი მართლა საზეიმოთ მოკაზმულხარ,
რა რიგ გშვენის და გიხდება ძოწეული!
მარგალიტო! ისე ტურფა, ლამაზ—სრულხარ,
ვით ნესტანი ტარიელზე მოხვეული!

— —

თავს გევლება ამირანის წმინდა ლანდი,
გვირგვინს გადგამს ხალხის ხელით ჯავარ-დაყრილს,
ზეცა გლოცავს, ვარსკვლავებით მკერდ-ნაზანდი,
და გადიდებს შოთას ქნარი ბორკილ-აყრილს!

— —

დ ღ ე ს

2.

დღეს ჩემს თვალში ყველაფერი შეიცვალა, გასხვაფერდა!
დღეს ის არ ვარ, რაც ვიყავი, ჩემი გრძნობა ასხივფერდა!
დღეს ბუნებაც სხვაფერ ლაღობს, იცინის და ინაზება!
დღეს თფილისიც ტოკავს, როკავს, საზეიმოთ იკაზმება!
ქორწილი აქვს ჩემს დედოფალს!.. ტკბილ ხმებს უკრავს დაფი, ლირი!..
მერიქიფევ, ყანწი მალე, ლალის წვენით დაფერილი!
მსურს დავცალო სადღეგრძელო, მსურს შევცურდე ლხინის ზღვაში,
მსურს ლეკური დავუარო... მაშ, მაყრებო ტაში ტაში!!

გ. რუხაძე.

12 იანვარი 1920 წ. სასახლესთან.

ნოე ჟორდანიას.

გიძღვნით მხურვალე სალამს ანტანტის მიერ ჩვენი დამოუკიდებლობის ცნობისა გამო და გისურვებთ ჩვენო ქვეყნის სიამაყევ, (რომ მალე, როგორც დღემდი, ისე ეჭიროდესთ თავისუფლების წითელი დროშა.

გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!

გაუმარჯოს ინტერნაციონალს!

გაუმარჯოს სოციალიზმს!

ამხანაგების მინდობილობით: **ბაგრატი ლორთქიფანიძე, გ. პირველი, გ. თავბერიძე, ლ. ქაშია, გ. თოხაძე.**

ზესტაფონის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაცია აღფრთოვანებით ეგებება საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობას და მზათ არის მთელი თავისი ახალგაზრდული ენერგია შესწიროს მის განმტკიცებას. **პრეზიდიუმი.**

— —

ბათუმიდან (მთავრობის თავმჯდომარეს). ქართველი მუსულმანობა მთელ ქართველ ერთან ერთად ზეიმობს მოკავშირეთა მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობას. გვწამს, რომ მალე დადგება სანატრელი ჟამი ბათუმის ოლქის დედა სამშობლოს, საქართველოსთან შეერთებისა. ხელოვნურათ მოწყვეტილნი დედა სამშობლოსთან მოუთმენლად მოველით ამ სანატრელ დროს. თქვენი ბრძნული საქმიანობა და სამშობლოსადმი თავდადება თავდებია იმისა, რომ ეს ჟამი შორს არ არის. სამუსლიმანო საქართველოს განმანთავისუფლებელი კომიტეტისა და მეჯლისის თავმჯდომარე **მემედ ბეგ აბაშიძე.**

ბათუმის ქართველ მუსულმანთა და ქართველ ქრისტიანთა ეროვნულ საბჭოსაგან: მოკავშირეთა მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის გამო აღფრთოვანებით მოგესალმებით თქვენ ჩვენი საყვარელი სამშობლოს დაუღალავ ბელადს, რომელსაც საქართველოს სახელმწიფოებრივი ნავი გამოცდილი ხელით ზღვის აბობოქრებული ტალღებიდან მიყავს საიმედო ნავთ სადგურისაკენ ბათუმის ქართ. სახელით განურჩევლათ სარწმუნოებისა გისურვებთ ჯანმრთელობას და ხანგრძლივ სიცოცხლეს ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ. გამოვსთქვამთ ღრმა რწმენას, რომ საქართველოსაგან ხელოვნურათ მოწყვეტილი მისი განუყოფელი და განუყრელი ნაწილი ბათუმის ოლქი, მალე შეუერთდება დედა სამშობლოს. გაუმარჯოს გაერთიანებულ დამოუკიდებელ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის სახელოვან მთავრობას.

ჩვენი მთავრობა, ჯარი და გვარდია მაგრათ დახვდნენ, დენიკინმა ბევრი იფოფხურა, მაგრამ ვერა გააწყორა.

დენიკინი ძველი კაცია, მას ძველის აღდგენა უნდოდა, მაგრამ ნახტომი შეეშალა და უკულმა წაუვიდა საქმე.

სამაგიეროთ იმას ალაგას რუსეთის ბოლშევიკები აიმართნენ და შეიძლება დენიკინსავით დაგვიწყონ მათაც მოქარა.

ბოლშევიკები ახალი კაცები არიან. ისინი თავის თავს გლეხებისა და მუშების პარტიას უწოდებენ.

თქვენ სახრავი მითხარით, თორემ სახელსაც რასაც გინდათ, იმას დავირქმევ.

შალაურში ერთ ქალს ვარდისახარი ერქვა, მაგრამ იმაზე უშნო და მახინჯი მთელ საქართველოში არ მოიძებნებოდა.

ასე ემართებათ ბოლშევიკებს. მუშებისა და გლეხების პარტია ვართო და, სადაც კი ფეხი შედგეს, სიკეთეს ჯერ ვერ ვხედავთ და უბედურება კი დიდი შეიტანეს. რა მოუტანეს მუშა ხალხს ხარკოვში, სადაც ისინი აგერ ახლა შევიდნენ?

თეთრზე უკაცრავათა ვართო, და მიუტანეს შავი პურის ფქვილი.

მერე იცით როგორი?

იაფათ—ფუთი ორას თუმნათ! დაუსრულებელ ხოცვა ჟლეტასა და სისხლის ღვრას თუნდა თქვენი ჭირი წაუღია.

ბოლშევიკები თავის თავს კომუნისტებს უწოდებენ, არ გაგიგონიათ?

თუ გაგიგონიათ და ისიც უნდა გაიგოთ, ეს სიტყვა ღვთის წყალობას ნიშნავს, თუ ღვთის რისხვას.

ისინი ამტკიცებენ, ღვთის წყალობას ნიშნავსო.

ვნახოთ.

კომუნისტი იმას ეწოდება, ვინც დღესვე უარყოფს კერძო საკუთრებას და აარსებს საზიაროს, საერთოს.

სოფლათ ბოლშევიკები აუქმებენ გლეხების კერძო საკუთრებას და საზიარო საკუთრებათ აცხადებენ მიწას, სახლკარს, საქონელს.

ჩვენში რომ ისინი შემოვიდნენ, რას იზამენ?

გააუქმებენ ყველგან კერძო საკუთრებას.

რა მოგივათ მაშინ თქვენ?

ეს ადვილი გამოსაანგარიშებელია. თქვენს ვენახზე, ყანაზე, საქონელზე, სახლზე ხელი უნდა აიღოთ, შეაერთოთ ყოველივე ეს, საერთოთ დაიმუშაოთ ყანაც, ვენახიც.

კარგი და სახეიროა?

შეიძლება, სხვაგან ასეთი წესი სახეირო იყოს, მაგრამ ჩვენში ეს ისეთ ჯოჯოხეთს დაატრიალებს სოფლათ, რომ მთლათ განადგურდება ყოველისფერი და ხალხი ხომ ერთმანეთს დასჭამს. აი მეორეთ მოსვლა სწორეთ მაშინ დაგვიდგება, თუ გნებავთ.

თუ ეს ბედნიერებათ მიგაჩნიათ და მოგწონთ, ბძანეთ ყველამ და კარი გავუღოთ ბოლშევიკებს.

თუ ასეთი წყობილება არ მოგწონთ, მაგრათ ჩაჰკიდეთ ხელი ჩვენს მთავრობას, გაუძელით ყოველგვარ გაჭირვებას, აასრულეთ მტკიცეთ მთავრობის ბრძანება და ისევ ის გადაგვარჩენს, როგორც დღემდე გადაგვარჩინა.

ხომ იცით, ყოველ გლახას სხვისი იმედი აქვს, ყოველი ლაჩარი სხვისი შემყურეა.

ღმერთმა გაშორისთ სიგლახესაც, სილაჩრესაც.

ჩვენ უნდა გვქონდეს ჩვენი საკუთარი თავის, ჩვენი მთავრობის, ჩვენი ჯარისა და გვარდიის იმედი,—სხვისი არავისი.

ამ სამებამ—მთავრობამ, ჯარმა და გვარდიამ—ბევრი გაჭირვებიდან გამოგვიყვანა მშრალათ. კიდევ ბევრიდან გამოგვიყვანს, თუ რომ გვექნება მოთმინება, სულგრძელობა, სიმტკიცე და სიფხიზლე.

დღეგრძელობა ჩვენს მთავრობას, სიმტკიცე ჩვენს რესპუბლიკას, სიკეთე თქვენ,—მტერს კი თავსხლეტი.

ივ. გომართელი.

დ ე პ ე შ ე ბ ი

საქართველოს დეპეშათა სააგენტო

13 იანვარი.

გერმანული პრესის ცნობები.

უკვე სჩანს ძლიერი ოპოზიცია მემარჯვენე და მემარცხენე რადიკალებისა მუშათა საბჭოების კანონის შესახებ, რომლის მესამე წაკითხვა აუცილებელია. სამრეწველო ფირმების წევრები ენერგიულ პროტესტს აცხადებენ ზოგ დადგენილების წინააღმდეგ, განსაკუთრებით ბალანსების დაქვემდებარების წინააღმდეგ... (დამახინჯებულია). რადგანაც ამგვარ ზომას შეუძლია მათ ქარხნებში მუშაობის შეწყვეტა მოჰყვეს, მემარცხენე რადიკალები კანონის ამგვარ სახით დადასტურებაში მუშათა ინტერესების საკმაო დაცვას ვერ ხედავენ. მესამე კითხვის დროს მოსალოდნელია მუშათა გაფიცვა მოხდეს.

კათოლიკური გაზ. „გერმანია“ სწერს: თუ რკინის გზებზე გენერალურმა გაფიცვამ იფეთქა, ჩვენ არჩევნებისათვის ბრძოლის შიშველის ფაქტის წინაშე დავდგებით.. რკინის გზის მოსამსახურეთა მდგომარეობა მეტად მძიმეა. მათი მოთხოვნილებანი შეძლებისა და გვარათ უნდა დაკმაყოფილდეს. საჭირო არ არის ვეცადოთ შიმშილის ზარბაზნებით დაკმაყოფილებას.

ფრანგული პრესის ცნობები

კვირას მოხდა საფრანგეთის სენატის წევრთა ორი მესამედის არჩევა. გვგონია, რომ პოლიტიკური თვალსაზრისით პარტიათა შორის არავითარი უთანხმოება არ იქნება. პუანკარე ამოირჩიეს სენატორათ მაასის დეპარტამენტიდან. ელზას ლორენმა ამოირჩია 14 (გამოტოვებულია).

კვირა საღამოს უმაღლეს საბჭოს დახურული სხდომა მოხდა; მას დაესწრნენ მარტო მთავრობის თავმჯდომარენი.

კლემანსომ მიიღო ბერლინში ახლად დანიშნული საფრანგეთის რწმუნებული მარსილიე.

ბერლინიდან იუწყებიან: კანცლერმა ბაუერმა გერმანიის მთავრობის სახელით მოკავშირეთა კომისიის თავმჯდომარე ნისელს თავისი მწუხარება გამოუცხადა და ბოდიში მოითხოვა იმ ზარალის გამო, რომელიც მას ფონ დერ-ჰოლცის ხელქვეითებმა მიაყენეს. გერმანია ამბობს, რომ იგი დამნაშავეებს დასჯის.

„ვერშერსკოე სლოვოს“ მოყავს სტატისტიკური ცნობები, რომლებიც მას კოლჩაკის მთავრობისაგან მიუღია. ამ სტატისტიკის მიხედვით ომის გამოცხადებიდან რუსეთს დაუკარგავს მკვდრების, დაჭრილებისა და ავადმყოფობის სახით 35 მილიონი კაცი. ომამდის რუსეთში ერთ წუთში მცხოვრებლები მატულობდა 4 კაცით, ეხლა კი მცირდება წუთში 11—12 კაცით.

„ბერლინერ ტაგებლატის“ ცნობით ექს იმპერატორ ვილჰელმს მიზნათ ქონია საზავო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის შემდეგ ჰოლანდიაში შეკრება ჰოჰენცოლერნის გვარის ყველა წევრები. ამ მოწვევას მიზნათ აქვს ზოგი კერძო საკითხების მოწესრიგება და არა რაიმე პოლიტიკურ ხაზის გამორკვევა ჰოჰენცოლერნების გვარისა.

საფრანგეთის სენატი პუანკარეს მანდატის დამტკიცებისათვის უცდის 17 თებერვალს, როდესაც პუანკარეს პრეზიდენტობის მანდატი თავდება.

უნგრეთის დელეგატებს ემცნოთ დღეს, რომ ხელშეკრულებას მათ კვირის დამლევს ჩააბარებენ.

ბალტიკური ცნობები.

ჰელსინგფორსი. იანვრის 2. იაპონიის გაზეთები იუწყებიან, რომ ვაშინგტონში მომხდარ საერთაშორისო შრომის კონფერენციაზე იაპონიამ მარტოთმარტო კაპიტალისტების წარმომადგენლები გაგზავნაო.

პოლდიუ (?) იანვრის 11. პარიზის გაზეთების ცნობით კლემანსო პრეზიდენტათ არჩევის შემდეგ წავა შეერთებულ შტატებში საზავო ხელშეკრულებისა და ერთა ლიგის სასარგებლოდ ენერგიულ კომპანიის საწარმოებლად.

ბელოოსტროვი. იანვრის 7. დამოუკიდებელ მუშათა პარტია შოტლანდიის ორგანიზაციის კონფერენციის შესახებ მიღებით უფრო სწორი ცნობები, 280 დელეგატიდან 158 სურვილი გამოსთქვა მეორე ინტერნაციონალიდან გამოსვლისა და მესამე ინტერნაციონალში შესვლისა.

ნიუენი. 11 იანვარი. საარის ოლქში მყოფმა სამხედრო საფრანგეთის უფროსმა ბრძანება გამოსცა 9 საათის მუშაობის აღდგენის შესახებ.

ლიონი. 9 იან. ამბობენ, რომ იუდენიჩის ჩრდილო-დასავლეთის ჯარი ზღვით გაგზავნილი იქნება დენიკინის დასახმარებლადო.

პარიზი. 11 იან. პოლონეთის მთავრობა თავზე ლატვიის, ლიტვის, ესტლიანდიის, ფინეთის, უკრაინისა და კავკასიის რესპუბლიკათა წარმომადგენლების კონფერენციის მოწვევას ბოლშევიკებისაგან თავდაცვის ორგანიზაციის მოსაწყობად. დელეგატების მოსვლას იანვრის მეორე ნახევარში მოელიან. მონაწილეობას მიიღებს აგრეთვე რუმინეთიც, რადგანაც დენიკინის უკან დახევის გამო მას შეიძლება ბოლშევიკებთან ბრძოლა მოუხდეს.

სამარა 7 იანვ. ურალის ოლქის ყირგიზთა მინდვრებში აჯანყებული ყირგიზები გენ. ტოლსტოის ბანდებს ებრძვიან. აჯანყებულებმა დაიჭირეს ილეცკის კორპუსის შტაბი.

უფა. იან. 3. (დაგვიანებით მოვიდა). კოლჩაკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ კოლჩაკს დეპეშით შემდეგი წინადადებით მიმართა: „კატასტროფიულ მდგომარეობის გამო (დამახინჯებულია) დემოკრატიული პროგრამის განხორციელება“. კოლჩაკმა უპასუხა: „ეს იქნება მოტყუილება, რადგანაც მთავრობის მიზანი სულ სხვა არისო“.

მოსკოვი. იანვ. 13. სამხედრო ცნობები. ნარვის რაიონში 2—12 იანვრამდე ჩვენ 2600 გამოქცეული მივიღეთ. რეჟიცის რაიონში მთელ ფრონტზე სასტიკი ბრძოლა სწარმოებს. გამარჯვება ცვალებადია. მოზირის რაიონში ადგილობრივ ხასიათის ჩვენთვის სასარგებლო ბრძოლები სწარმოებს.

ალექსანდროვსკის რაიონში ჩვენ დავიჭირეთ დაბა.. (დამახინჯებულია). ალექსანდროვსკის რაიონში ჩვენ მახნოს ბანდებს იარაღს ვყრით. ჩვენ მხარეზე გადმოვიდა მახნოს მეთერთმეტე პოლკი. ამას გარდა იარაღი ავყარეთ 800 კაცს და ხელთ ვიგდეთ ერთი ბატარეა. მელიტოპოლის რაიონში ჩვენ დავიჭირეთ ქ. მელიტოპოლი. ხელთ ვიგდეთ დიდძალი ნადავლი, ერთი ჯავშნიანი მატარებელი და მრავალი ორთქმავალ ვაგონებით. ანგარიში ჯერ არ გათავებულა. ნოვოჩერკასკის რაიონში ჩვენი ცხენოსანი ჯარი უეცრად თავს დაესხა სტანიცა ზოლოტოვსკაიას, საიდანაც გარეკა მტრის ორი ცხენოსანი პოლკი, წამოიყვანა ტყვეები და 160 კაცი აჰკუწა. დამატებითი ცნობებით ნოვოჩერკასკის აღების დროს ხელთ ვიგდეთ 100 ზარბაზანი, ტანკი, აეროპლანები, ავტომობ., და ჯერ კიდევ გამოურკვეველი დიდძალი სამხედრო ქონება და სურსათ-სანოვაგე. ალექსანდროვსკ-გრუშევსკის რაიონში ბრძოლის დროს ჩვენ გავანადგურეთ მტრის მე 20 უსკალიტეინის ცხენოსანი პოლკი, წამოვიყვანეთ 700 ტყვე და წამოვიღეთ მრავალი ნადავლი. სტანიცა კონსტანტინოვსკაიას დაჭერის დროს ჩვენმა ნაწილებმა ხელთ იგდეს გემი, 2 მატორიანი ნავი, 20 ბარჟა და სხვა ნადავლი. ველიკოკნიაჟესკის მიმართულებით ჩვენ გავედით დონზე ზიმლიანსკაია-ვერხზე კურმოიარსკაის რაიონში. კრასნოიარსკის მიმართულებით ჩვენი ჯარი სდევნის მტერს, რომელიც რკინის გზის ხაზით იხევს. კრასნოიარსკიდან 50—60 ვერსზე აღმოსავლეთით ჩვენ ხელთ ვიგდეთ ორი ჯავშნიანი მატარებელი და პოლონელი ლეგიონების რამდენიმე ეშელონი.

გაზ „ერთობის“ რედაქცია და კანტორა
გადავიდა ახალ ბინაზე
კრუზენშტერნის ქ. № 4. შესახვევი რუსთაველის ქუჩ. № 18-თან.
(უფ)

ა ხ ა ლ ი ა მ ბ ე ბ ი

მთავრობის თავმჯდომარესთან. გუშინ სასახლეში მთავრობის თავმჯდომარეს წარუდგა საფრანგეთის სამხედრო მისიის მეთაური ნონანკური, რომელმაც მიულოცა უმაღლეს საბჭოს მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება. გუშინვე მთავრობის თავმჯდომარეს წარუდგნენ თფილისში მყოფი სხვადასხვა მისიათა წარმომადგენლები, ელინთა საბჭოს პრეზიდიუმის წარმომადგენლები და სხ. სასახლის ყარიბთან ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული.

◆ **უორდროპის წერილი საგარეო საქმეთა მინისტრთან** 12 იანვარს ოლივერ უორდროპმა საგარეო საქმეთა მინისტრს ე. გეგეჭკორს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: „თქვენო აღმატებულებავ! მაქვს პატივი გაცნობოთ, რომ ლორდ კერზონმა მთხოვა გამოგიცხადოთ თქვენ, რომ გუშინ მან აიღო თავის თავზე ინიციატივა წინადადება მისცეს მოკავშირეთა უმაღლეს საბჭოს იცნონ „de facto“ საქართველოსა და აზერბეიჯანის რესპუბლიკები. ეს წინადადება ერთხმად იქმნა მიღებული საფრანგეთისა და იტალიის მთავრობათა თანხმობით მეტია ლაპარაკი იმაზე, თუ რა დიდის კმაყოფილებით ვაცნობებ მე ზემოაღნიშნულ ამბავს საქართველოს მთავრობას. რაც შეეხება ჩვენ მეზობელ სომხეთს,—მათი ცნობის საკითხი მჭიდროთ დაკავშირებულია ოსმალეთის მომავალ სამშვიდობო ხელშეკრულობასთან. უორდროპი“.

◆ **ა. ხატისოვის ჩამოსვლა.** გუშინ ერევნიდან თფილისში ჩამოვიდა სომხეთის მთავრობის თავმჯდომარე ა. ხატისოვი.

◆ **სატარიფო პალატამ** განიხილა საკითხი იმის შესახებ აქვთ თუ არა პროფესიონალურ კავშირებს უფლება შესცვალონ პალატის მიერ დამტკიცებული ხელფასის ტარიფები, და დაადგინა: პალატა იღებს რა მხედველობაში, რომ იგი აწესებს ხელფასს შრომის ყველა დარგებში და მის მიერ დაწესებული ტარიფები სავალდებულოა ორივე მხარისთვის, ხოლო დამქირავებელთა და დაქირავებულთა შორის დადებული კოლექტიური ხელშეკრულებანი, რომელიც ხელფასის დაწესებას ეხება და ეწინააღმდეგება შრომის ამ დარგისთვის დაწესებულ ტარიფს, უკანონოთ ჩაითვლება.

◆ **სენატორ ნ. მ. ქიქოძეს,** რომელსაც მინდობილი აქვს თფილისის ქალაქის გამგეობის საბინაო განყოფილების რევიზია, დაევალა აგრეთვე თფილისის ქალაქის მილიციის იმ მოქმედების რევიზია, რომელიც დაკავშირებულია საბინაო განყოფილების ფუნქციებთან.

◆ **სამხედრო მინისტრის ამხანაგათ** დაინიშნა გენერალი ილია ზურაბის ძე ოდიშელიძე.

◆ **დუშეთის მაზრაში სამხედრო** წესები მოიხსნება მთავრობის დადგენილების თანახმად 15 იანვრიდან.

◆ **განათლების სამინისტრომ** მუდმივი დახმარების სახით დაუნიშნა ყოველთვიურად ორ-ორი ათასი მანეთი დამსახურებულ მსახიობთ: ვას. აბაშიძეს, კ. ყიფიანს, ვალ. გუნიას, მ. საფ.—აბაშიძისას, ელ. ჩერქეზიშვილისას და მოღვაწე მწერალს დ. კლდიაშვილს.

◆ **სახელმწიფო უნივერსიტეტში.** დღეს 5 ს. ეკონომიურ წრეში დანიშნულია რიკარდოს კითხვა-გარჩევა.

◆ **ზუგდიდ-სამურზაყანოს რაიონის** კოოპერატივთა კავშირის „სახალხო საქმეს“ გამგეობისაგან სამხედრო მინისტრმა მიიღო შემოწირულობა ექვსი ათასი მანეთი არმიის სასარგებლოთ, რისთვისაც სამინისტრო უღრმეს მადლობას უძღვნის შემომწირველთ.

◆ **დავით კლდიაშვილის საიუბილეო კომისია** დღეს, საღამოს ექვსი საათისათვის მწერალთა კლუბ „ქიმერიონში“ შემდეგი ორგანიზაციების წარმომადგენლების შეერთებულ სხდომას იწვევს: ყველა ქართული რედაქციის წარმომადგენლებს, რაიონის თეატრების წარმომადგენლებს, როგორც მაგ. სახალხო სახლის, მუშათა ცენტრალური კლუბის, საბურთალოს, ვერის, ორთაჭალის, ნავთლუღის, ავლაბრის, ჩუღურეთის, ერთობის უბნის, წმინდა ნინოს უბნის, ნაძალადევისა და დემოკრატიულ კლუბების წარმომადგენლთ. იმ შემთხვევაში, თუ მათ არ მოუვათ სათანადო მოწვევის ბარათი, კომისია სთხოვს, რომ კრებაზე უსათუოდ გამოგზავნონ თავისი წარმომადგენლები, რადგან მეტად საყურადღებო საკითხები გაირჩევა.

◆ **ლექცია.** დღეს, საღამოს 8 ს. ჯავშნოსან მატარებლებზე ალ. გორგაძე წაიკითხავს ლექციას: „საქართველოს ისტორიული საზღვრები“.

◆ **რედაქციამ მიიღო** ტ. მამალაძის მიერ შედგენილი პრაქტიკული პირველდაწყებითი რუსული გრამატიკა, ეტიმოლოგია. სახელმძღვანელო შედგენილია განარტივებული მართლწერის მიხედვით წიგნი შეიცავს 77 გვერდს. ფასი 20 მან.

◆ **სახელმწიფო თეატრში.** დღეს, ზალიპსკის ბენეფისი „ფრა-დიავოლო“, ხუთშაბათს, 15 იანვარს „აბესალომ და ეთერი“, 16 იანვარს „ქეთო და კოტე“, შაბათს, 17 იანვარს მუშებისათვის ოპერა „თქმულება შოთა რუსთაველზე“, კვირას, 18 იანვარს თარხან-მოურავის ბენეფისი „ტრავიატა“.

კრებები

ქალაქის მუშა-მოსამსახურეთა კავშირის აღმასრულებელ კომიტეტის მორიგი სხდომა დანიშნულია 15 იანვარს, საღამოს 5 ს.

— 16 იანვარს საღამოს 6 ს. დანიშნულია კახ. რკ. გზ. სამართველოში საერთო ს. ს. დ. წევრთა კრება.

— 15 იანვარს დილის 10 ს. დანიშნულია ს. ს. მეხუთე რაიონის კოლექტივის ჩვეულებრივი კრება.

— ხუთშაბათს, საღ. 6 ს. მეოთხე რაიონის კოლექტივი იწვევს მეოთხე რაიონის პარტიის წევრთა საზოგადო კრებას. საქართველოს კონსტიტუციის შესახებ მოხსენებას გააკეთებს ამხ. პ. საყვარელიძე.

— 14 იანვარს საღამოს 6 ს. ცენტრალურ მუშათა კლუბის შენობაში (პლეხანოვის პროს. 123) დანიშნულია საზოგადო კრება ქალ. თფილისის მუშათა კლუბების წარმომადგენლებისა და მუშათა კლუბების საბჭოს წევრებისა.

— დღეს, 15 იანვარს შესდგება ს. ს. დ. მ. პ. მესამე რაიონის კოლექტივის ჩვეულებრივი სხდომა, (კახეთის ქ. № 1).

— ხვალ, საღამოს 5 ს. საკუთარ ბინაზე დანიშნულია საქ. ახ. მარქ. ცეკას არაჩვეულებრივი კრება.

ჟურნალ-გაზეთებიდან

„სიდაი მილეთი“ და ბრესტის ხელშეკრულება.

ამ სათაურით გაზეთი „სამუსლიმანო საქართველო“ შემდეგს სწერს:

„სიდაი მილეთისათვის“ ბოლშევიკების გამარჯვებას გაუხსენებია ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება. როგორც მკითხველებმა იციან, ბოლშევიკებმა ბრესტ ლიტოვსკში ოსმალეთს უძღვნეს ბათუმის, ყარსის და არდაგანის ოლქები. ბოლშევიკებმა ამითი პირდაპირ ლახვარი ჩასცეს ამიერკავკასიას. მიტომ იყო, რომ ამიერკავკასიის სეიმმა მთელ ქვეყანას მიმართა პროტესტით და აუწყა ყველა სახელმწიფოებს, რომ ამიერკავკასია არ ცნობს ბოლშევიკების მიერ დადებულ ხელშეკრულებას, არ ცნობს ბრესტ-ლიტოვსკის ზავს. ამ ზავმა ჩააყენა სამუსლიმანო საქართველო უკიდურეს მდგომარეობაში, ამ ზავის ნაყოფია ის, რომ ბათუმი და ბათუმის ოლქი დღესაც მეტად არანორმალურ მდგომარეობაშია; ამ ზავის შემდეგ ის განიცდის ხელოვნურად დაშორებას თავის ორგანიზმისაგან.

„სიდაი მილეთი“ კი ბოლშევიკების გამარჯვებას მხიარულ გუნებაზე დაუყენებია: რაკი ბოლშევიკები იმარჯვებენ, ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება ძალაში დარჩება და მაშასადამე, ბათუმ-ყარს-არდაგანი ოსმალეთს გადაეცემაო.

საბრალო „სიდაი მილეთის“ პოლიტიკოსები! მათ ვერ გაუგიათ, თუ რა მოხდა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების შემდეგ. ვერ გაუგიათ, რომ ამ ხელშეკრულებას ახლა არც ბოლშევიკები ცნობენ და არც მოკავშირენი: ვერ გაუგიათ, რომ ბრესტლიტოვსკის შემდეგ მოკავშირეებმა გაიმარჯვეს; ვერ გაუგიათ, რომ ბრესტის ხელშეკრულებით უკრაინა დამოუკიდებელი სახელმწიფო უნდა ყოფილიყო, მაშინ ამაზე ბოლშევიკებმა გერმანიის მოთხოვნით თანხმობა გამოაცხადეს და ხელიც მოაწერეს, მაგრამ ამ ჟამად უკრაინა ისევ დაიპყრო ბოლშევიკებმა და თავის სოვდეპიას შეუერთეს. ასე შეასრულეს ბოლშევიკებმა ბრესტის ხელშეკრულება!

ბრესტმა ჩაილურის წყალი დალია. ბრესტის ხელშეკრულება ფარატინა ქაღალდად დარჩა მას შემდეგ, რაც მოკავშირეებმა გერმანია და ოსმალეთი დაამარცხეს. ეს არ სცოდნიათ „სიდაი მილეთის“ ვაჟბატონებს და პოლიტიკოსობას კი ჩემულობენ!..

ქალაქის მოურავისაგან.

(მილიციის უფროსს).

ჩემამდე მოღწეული სარწმუნო ცნობების მიხედვით, ბევრ მოქალაქეს აქვს განზრახვა ახალი წლის ძველი სტილით პირველ იანვარს დღესასწაულობა ძველებური ადათით—სროლით, უზომო ქეიფით რესტორანებში, ქუჩებზე და სხვ.

წინადადებას გაძლევთ მიაქციოთ თქვენდამი რწმუნებული მილიციის ყურადღება ამ გარემოებას [illegible]. არავითარი სროლა, თუ გინდ ერთეულიც კი, დაშვებული არ უნდა იქნეს. დამნაშავეთა ბინებში დაუყოვნებლივ ჩხრეკა უნდა მოახდინოთ, უნდა იარაღი წაართვათ და დამნაშავეთა გარდა დააპატიმროთ ოჯახის პატრონებიც. ქუჩებში მთვრალების ხეტიალი და ხმაურობა სასტიკათ აკრძალეთ. დამნაშავენი დააპატიმრეთ. რესტორანებს და კლუბებს გამოუცხადეთ, რომ ამ დღისთვის გამართული ჯგუფობრივი „დღესასწაულობა-ქეიფი“ დაშვებული არ იქნება. ვინც ურჩობას გამოიჩენს, დახურული იქნება. სურსათის ნაკლებობა და სხვა მრავალგვარი გაჭირვება, რომელსაც ჩვენი ქალაქი ამ ჟამად განიცდის, არ გვაძლევს უფლებას ერთი დღესასწაული ორჯერ ვიქეიფოთ და ისიც ქეიფით.

პასუხის მგებლობა ზემოთ ნათქვამის შეუსრულებლობაში გთხოვთ დააკისროთ მთელ მილიციას გამგებიდან დაწყებული კომისრამდე. კომისრები, მათი თანაშემწენი და მილიციონერები ქუჩებზე უნდა იყვნენ მთელი ღამით და დღით და შეასრულონ ეს სასტიკათ.

ქალაქის მოურავი ჩხიკვიშვილი.

უ ც ხ ო ე თ ი

რ უ ს ე თ ი.

189 მუშის დახვრეტა. მოსკოვის გაზ. „კომუნისტ“-ში მოთავსებულია წერილი შემდეგი სათაურით: „კონტრ-რევოლუციის ლიკვიდაცია პუტილოვის ქარხანაში“. წერილში მოყვანილია სია 189 მუშისა, რომლებიც დახვრეტილიათ „ჩრეზვიჩაიკის“ გადაწყვეტილების თანახმად მიზეზი გაზეთის სიტყვებით შემდეგში ყოფილა: როდესაც გენ. იუდენიჩის ჯარი შეესია პეტროგრადს, პუტილოვის ქარხნის მუშები შეიკრიბნენ, გამართეს მიტინგი, რომელზედაც ორატორები მოუწოდებდნენ მუშებს ბოლშევიკების წინააღმდეგ; მიტინგზე გამოტანილ იქნა შემდეგი შინაარსის რეზოლუცია: პუტილოვის ქარხნის მუშები აცნობებენ რუსეთისა და მთელი ქვეყნის მშრომელთ, რომ ბოლშევიკებმა მოატყუეს რუსეთის პროლეტარიატი, გაანიავეს ყოველგვარი თავისუფლება და გაამეფეს წარმოუდგენელი ტერორი. მათ გაანადგურეს მრეწველობა, რითაც მოუსპეს მუშებს საშუალება თავიანთი ოფლით მოიპოვონ პური; მუშები წარმოუდგენელ სიმშილობას განიცდიან და პურის მაგიერათ ბოლშევიკებისაგან მათრახებს იღებენ. მუშები არ სცნობენ ბოლშევიკებს რუსეთის მთავრობათ და მოუწოდებენ ამხანაგებს დაეხმარონ გენ. იუდენიჩის ჯარს, რომელიც გაანთავისუფლებს მათ ბოლშევიკების ბატონობისაგან“. აი ეს რეზოლუცია შექნა იმის მიზეზათ, რომ ბოლშევიკებმა დააპატიმრეს მუშები და 189 მათგანი კიდევაც დახვრიტეს.

მოხალისეთა უკანასკნელი დღეები კიევში. „დღის ლისტ.“ მოთავსებულია შემდეგი ცნობები კიევში მოხალისეთა ყოფნის უკანასკნელ დღეების შესახებ. „კიევიდან ჩამოსულები შემდეგ ცნობებს გვაწვდიან: 1 დეკემბრამდე ქალაქის მდგომარეობა თუმცა საშინ

იყო, მაგრამ ცხოვრება მაინც ჩვეულებრივათ მიმდინარეობდა. მცხოვრებნი მიჩვეულნი იყვნენ დღე სროლას, დიდ ყურადღებას არ აქცევდენ ქალაქში სროლის გაძლიერებას. 1 დეკემბერს კიევის გაზეთებში მოთავსებული იყო ავტორიტეტული სამხედრო პირების აზრი იმის შესახებ, რომ ქალაქს არ დაუთმობენ ბოლშევიკებს.

1 დეკემბერს საღამოს აშკარა შეიქნა, რომ ქალაქი გარს შემორტყმული იყო ბოლშევიკების მიერ, რომ შეიძლება ქალაქი მოჭრილი იქნას რკინის გზიდან და მაშინ ევაკუაციის ყველი შესაძლებლობა შეუძლებელი იქნებოდა.

1 დეკემბერს ღამით ქალაქში დიდი შიში იყო. აშკარა შეიქნა, რომ ქალაქს ბოლშევიკები აიღებდნენ. დაიწყო ევაკუაცია, უმთავრესათ სახოგადოებრივი და სახელმწიფო დაწესებულებების, ბანკების, ძვირფასი ნივთებისა და მნიშვნელოვანი საბუთების.

2 დეკემბერს საღამოს დაიწყო ძარცვა-გლეჯა ქალაქში. ბრბოები სძარცვავდენ მაღაზიებსა და ბინებს. ქალაქის ცენტრალური ნაწილი მოკლე დროს განმავლობაში გაძარცულ იქნა. ვინტოვკებითა და რევოლვერებით შეიარაღებული ბრბოები ერთ ქუჩიდან მეორეზე გადადიოდენ და სძარცვავდენ ყველაფერს, თავს ესხმოდენ მგზავრებს და ტანისამოსს ხდიდენ. ბევრი ის პირები, რომლებიც იჩქაროდენ დაეტოვებიათ ქალაქი, უცბათ ბრბოებს უვარდებოდენ ხელში.

ბოლშევიკები და სპარსელი ვაჭრები. რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში ბოლშევიკურ მთავრობის განკარგულებით სხვებთან ერთად ბევრი საქონელი ჩამოერთვა სპარსელ ვაჭრებს. ამის გამო სპარსეთის მთავრობამ წინადადება მისცა საბჭოთა მთავრობას, რათა უკანასკნელმა დაუბრუნოს საქონელი აღნიშნულ ვაჭრებს. გაზ. „რაად“-ის ცნობით ბოლშევიკურ მთავრობას დაუკმაყოფილებია სპარსეთის მთავრობის დაჟინებითი თხოვნა და სპარსელ ვაჭრებისთვის წართმეული საქონელი დაუბრუნებია.

სპარსეთი.

ბოლშევიკების დატყვევება. გაზეთ „ირან“-ს ატყობინებენ, რომ თურქესტანის საზღვარზე დაუპატიმრებიათ 24 ბოლშევიკი, რომლებსაც სპარსეთში შესვლა ჰქონიათ განზრახული. მათ შორის ერთი ავსტრიელია, დანარჩენი რუსები, ორი ქალი. გამოძიებას დაუმტკიცებია, რომ აღნიშნულ ბოლშევიკებს უღალატიათ თავიანთ ამხანაგ ბოლშევიკებისათვის და ოპოზიციაში გადასულან. რომ ისინი ბოლშევიკებს არ ჩავარდნოდათ ხელში თავი შეუფარებიათ ბუხარის ემირისათვის უკანასკნელს კი მათი ბოლშევიკების ხელიდან სახსნელათ ისინი სპარსეთისაკენ გაუგზავნია.

იაპონია

იაპონია და ჩინეთი. იაპონია-ჩინეთს შორის დამოკიდებულებაზე გაზ. „კრიიგცაიტუნგი“ შემდეგს სწერს: ახლო მომავალში უნდა ველოდეთ კონფლიქტს იაპონიასა და ჩინეთს შორის. მიუხედავათ იმისა, რომ ჩინეთი ბოიკოტს უცხადებს იაპონიის ვაჭრობას,—ძალის მხრივ უპირატესობა მაინც იაპონიის მხარეზეა. ჩინეთს დახმარებას უწევს ამერიკა. დამოკიდებულება ამ უკანასკნელსა და იაპონიის შორის თანდათან მწვავდება და თუმცა მალე არა, მომავალში აუცილებელია მათ შორის კონფლიქტი, რასაც, სხვათაშორის, ამერიკის საზღვაო შეიარაღების ზრდაც ამტკიცებს. იაპონიას შეუძლია ბრძოლა განაგრძოს ბოლშევიკების წინააღმდეგ, მაგრამ არავინ იცის სასარგებლო იქნება ეს მისთვის თუ არა.

ადერბეიჯანი.

დამშეული სოფელი. ლენქორანის მაზრის სოფელი რუდიკენარუდი შიმშილობას განიცდის, რის მიზეზითაც სპარსელ ყაჩაღთა თავდასხმა და ბოლშევიკური მოძრაობა უნდა ჩაითვალოს. გაზ. „ადერბეიჯან“-ის სიტყვით სოფელი სავსებით დარბეულია და მცხოვრებთ თავშესაფარი არ მოეპოვებათ. მიუხედავათ ამისა, ხალხი მაინც გზავნის თავის შვილებს ჯარში. სოფლის წარმომადგენლები წარუდგენ ბაქოს გენერალ-გუბერნატორს და სთხოვეს, რათა მან დახმარება გაუწიოს დამშეულ ხალხს სურსათ სანოვაგით და საშუალება მისცეს შეაკეთონ თავიანთი სახლები. წინააღმდეგ შემთხვევაში ხალხს შიმშილითა და სიცივით ამოხოცვა მოელის.

შვეიცარია.

შვეიცარიელები საქართველოს შესახებ. „ჟურნალ დე ჟენევ“-ის ცნობით ჟენევაში გამოსულა ემ. კუნის ახალი წიგნი—„თავისუფალი საქართველო“. გაზეთი ამის შესახებ შემდეგს სწერს: „ემ. კუნი თავის წიგნში გვიხატავს ნამდვილ წარმოდგენას იმ შესაძლებლობათა შესახებ, რასაც იძლევა საქართველოს სახელმწიფო. წიგნის უკანასკნელმა თავმა —„შვეიცარია და საქართველო“—უნდა დააფიქროს შვეიცარიის დიპლომატები და კომერსანტები; ამის შემდეგ მათ მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ საქართველოს რესპუბლიკას“. გაზეთი განსაკუთრებულის სიხარულით ეგებება აღნიშნულ გამოკვლევის გამოქვეყნებას.

პარტიულ ძალთა განწყობილება შვეიცარიაში. ამ ჟამად შვეიცარიაში ამრჩეველთა რაოდენობა 930 ათას სულს უდრის. ეს რიცხვი ცოტათი ნაკლებია მცხოვრებთა საერთო რიცხვის მეოთხედზე. თუ კი არჩევნებში ქალებიც მიიღებენ მონაწილეობას, მაშინ ამრჩეველთა რიცხვი 2 მილიონამდე გაიზრდება, რაც მცხოვრებთა ნახევარს შეადგენს. 26 დეკემბერს შვეიცარიაში საპარლამენტო არჩევნები მოხდა, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო სულ 720 ათას ამრჩეველმა, ე. ი. ყველა ამრჩეველთა 77 პროც. აქედან სხვადასხვა პოლიტიკურმა პარტიებმა მიიღეს: 210 ათასი ხმა—რადიკალებმა, 170 ათასი.—სოციალისტებმა, 150 ათ.—კათოლიკეთა პარტიამ 110 ათ.—გლეხთა პარტიამ, 25 ათ.—ლიბერალ - კონსერვატორებმა 20 ათ.—გრიუტლიანელებმა, 35 ათ — სხვადასხვა ჯგუფებმა. სოციალისტურმა პარტიამ 1917 წელს არჩევნებში 150 ათასი ხმა მიიღო; წელს კი,—ორი წლის შემდეგ—20 ათასი ხმით მეტი. ნაციონალურ საბჭოში, როგორც ვიცით, სოციალ. პარტიამ 41 დეპუტატი გაიყვანა.

ინგლისი.

ინგლისი და საბჭოთა რუსეთი. 15 დეკემბერს თემთა პალატაში ზოგიერთი დეპუტატები შეეკითხენ მთავრობას, რა ნაბიჯების გადადგმას აპირებს ის საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლის ლიტვინოვის მიერ წამოყენებულ საზავო წინადადების შესახებ. ამის გამო ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგმა განაცხადა, რომ წინადადება განუხილავათ დაუბრუნდა ისევ ლიტვინოვსა.

ავსტრია

ავსტრია და უმაღლესი საბჭო. 16 დეკემბერს ავსტრიის დელეგაციამ უმაღლეს საბჭოში აღძრა საკითხი იმის შესახებ, რომ ავსტრიაში თანდათან ფესვს იკიდებს ტენდენცია ფორალბერგის ავსტრიიდან გამოყოფის შესახებ. უმაღლეს საბჭომ ამის შესახებ გადაწყვიტა, რომ ავსტრიის მიმართ ძალაში დარჩება სენ-ჟერმენის ხელშეკრულება, რათა დაცულ იქნეს ავსტრიის რესპუბლიკის ტერიტორიალური მთლიანობა. გარდა ამისა, უმაღლესმა საბჭომ ავსტრიის მდგომარეობის შესამსუბუქებლათ შემდეგი დადგენილებები გამოიტანა: 1) გადაეცეს ავსტრიას 30 ათასი ტონი ხორბალი, რომელიც ამ ჟამად ტრიესტში არის შენახული; 2) გაეხსნას სამხრეთ სლავიას კრედიტი სურსათ-სანოვაგის შესაძენათ ავსტრიისათვის; 3) ავსტრიის ქონების ნაწილი დარჩეს ისევ ავსტრიას, რათა მას შეეძლოს მიეცეს საკუთარის საშუალებით გაეხსნას კრედიტი; 4) მიეცეს ავსტრიას სესხი, რომელსაც უზრუნველ ყოფს თამბაქოს მონოპოლია; 5) რაც შეიძლება ჩქარა და დაწვრილებით იქნეს განხილული ავსტრიის მინისტრის ლევენფელდის მიერ წარმოდგენილი პროექტი, რომელმაც ავსტრია ხანგრძლივათ უნდა უზრუნველჰყოს სურსათ სანოვაგით.

ვენიდან მოსულ ცნობების თანახმათ საფრანგეთი მიილტვის ეკონომიურათ გააერთიანოს ავსტრია, ჩეხო-სლოვაკია და სამხრეთ-სლავია და ისინი თავის გავლენას დაუმორჩილოს. იმავე ცნობებით ინგლისის გავლენა უნგრეთზე გაძლიერდება. ავსტრიის უმწეო მდგომარეობა დიდ თანაგრძნობას იწვევს ევროპის ყველა სახელმწიფოებში. ამის შესახებ ინგლისში ასკვიტისა და სესილის მიერ გამოცემულ მოწოდებას ხალხი დიდის აღფრთოვანებით შეხვდა. რომის მუნიციპალიტეტმა ავსტრიის ბავშვთა სასარგებლოთ 60 ათასი ლირა გაგზავნა. დიდი დახმარებაა განზრახული ავსტრიელებისათვის აგრეთვე ჰოლანდიასა და შვეციაში.

მთავრობაში

30 დეკემბრის სხდომაზე მთავრობამ დაადგინა:

— საერობო სამკურნალო დაწესებულებათა ახალი შტატების პროექტი მიღებულ იქნას უცვლელათ და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას.

— ყოფილ ცენტრალური სასურსათო საბჭოს საქმეების გაძღოლა ჰბარდება ერობათა კავშირს იმავე წესით, რა წესითაც ეს საქმეები ჩაბარებული ჰქონდა ცენტრალურ სასურსათო საბჭოს, ვიდრე ეს საკითხი გადაჭრილი იქნება საკანონმდებლო წესით.

— ფუნტის 10 მანეთიანი ნიშნები მოწონებულ იქმნას.

— არსებული სასინჯო გადასახადი გადიდებულ იქნას ფინანსთა მინისტრის მიერ ნავარაუდევ ზომამდე.

— ქუთაისში დაარსდეს მე-2 ხარისხის საბჭო. წარმოდგენილი პროექტი შტატებითურთ მიღებულ იქნას და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას.

— დაევალოს იუსტიციის მინისტრს, რომ იმ მოხელეთ, რომელნიც 1919 წ. 9 დეკემბრის დეკრეტით შტატს გარეშე დატოვებულნი, მიეცეთ ნოემბრისა და დეკემბრის ჯამაგირები 1 ნოემბრამდე არსებული ნორმით. მათი ლიკვიდაცია მოხდეს არა უგვიანეს 1920 წლის იანვრისა.

— ქალაქ ლანჩხუთის თვითმართველობისა და ოზურგეთის ერობისათვის გაცემული სესხის ვადათ აღიარებულ იქნას 5 წელი. სესხი იქნეს უპროცენტო, ხოლო იმ პირობით, რომ ფულის ხარჯვა ხდებოდეს მიწათ მოქმედების მინისტრის კონტროლის ქვეშ.

— ქ. ლანჩხუთში გაიხსნას დაბალი სასოფლო სამეურნეო სასწავლებელი, რომლის წინასწარ მოსაწყობათ მიწათმოქმედების მინისტრის განკარგულებაში სესხის სახით გადაეცეს 100,000 მანეთი, ვიდრე სასწავლებლის შტატები და ხარჯთ აღრიცხვა დამტკიცებულ იქნება საკანონმდებლო წესით.

„ჭოროხის“ ტყვეების ისტორიიდან

სოხუმის „ნაშე სლოვო“-ში მოთავსებულია საუბარი იმ მხედართან, რომელიც „ჭოროხთან“ ერთად ტყვედ ჩაუვარდა მოხალისეთა სამხედრო გემს.

2 დეკემბერს, დილის 12 ს. „ჭოროხი“ სოხუმიდან გაგრისაკენ ბარგით გავიდა, პიცუნდის „მაიაკთან“ მატროსებმა და ჯარისკაცებმა შენიშნეს ჰორიზონტზე ერთი გემი. მატროსებმა იფიქრეს, ეს ინგლისის გემიაო. ჯარისკაცების ნაწილი კი ამბობდა, რომ ეს მოხალისეთა გემიაო და ის იყო მოიმარჯვეს თოფები და მოემზადნენ წინააღმდეგობის გასაწევათ იმ რწმენით, რომ არამც და არამც არ დანებებულიყვნენ.

როცა გემი მოახლოვდა, მასზე დავინახეთ ინგლისის დროშა, ხოლო „კომანდა“ ინგლისურ ტანისამოსში. ჩვენ მაშინ დავწყნარდით და იარაღიც დავაწყვეთ როდესაც 200 ნაბიჯზე მოახლოვებულმა გემმა შეამჩნია, რომ ჩვენს გემზე ზარბაზნები არ იყო, ინგლისური დროშა დაუშვა და აღმართა ბრძოლის ნიშანი. დაუმიზნა ჩვენს გემს ოთხ დიუმიანი ზარბაზანი და მოითხოვა დანებება. როცა ეს დაინახეს ჯარისკაცებმა, მაშინვე სტაცეს თოფებს ხელი და მოინდომეს წინააღმდეგობის გაწევა, მაგრამ უფროსებმა შეაჩერეს, ვინაიდან თოფებით არ შეიძლებოდა მტრის შეიარაღებული გემისათვის გამკლავება და უაზრო მსხვერპლის გაღება მოხდებოდა. ჯარისკაცებმა დაუჯერეს უფროსებს. „ჭოროხიც“ დანებდა მტერს. მოხალისეებმა გაგვჩხრიკეს, წაიღეს თოფები, ზოგიერთებს წაართვეს ფული და ტანისამოსიც, მაგრამ ჩვენი ოფიცრების პროტესტის შემდეგ ისევ დააბრუნეს ფულები და ტანისამოსი.

დაღამებამდე გემი ადგილიდან არ დაძრულა. შეღამებისას „ჭოროხზე“ ჩააქრეს სინათლე და ასე გავიარეთ გაგრა და გავსწიეთ ადლერისაკენ. როცა გავიარეთ გაგრა, „ჭოროხზე“ სინათლე კვლავ გააჩაღეს, მაგრამ ადლერის ახლო გამოჩნდა ფრანგების თუ იტალიელების კრეისერი, კვლავ უბრძანეს „ჭოროხზე“ სინათლის ჩაქრობა. ამ დროს მოხალისეთა ტრალერი ამოუდგა „ჭოროხს“ მარჯვნივ, რათა კრეისერს არ დაენახა ის. როცა კრეისერმა ჩაიარა, სინათლე კვლავ აანთეს, მოხალისეთა ოფიცერმა განაცხადა: კრეისერს რომ შეემჩნია „ჭოროხი“, ჩვენ ის უნდა ჩაგვეძირა, რადგანაც შესაძლებელი იყო, რომ კრეისერს „ჭოროხი“ გაენთავისუფლებიაო.

დეკემბრის 3 დილით „ჭოროხი“ ტუაპსეს ნაპირებს მიადგა. მოვიდა კომენდანტი. ჯარის კაცები ნაპირად გადასხეს თოფ-იარაღი და სხვა ქონება აჰყარეს და „ბარჟაში“ შეინახეს. ოფიცრები, კაპიტანი და ფლოტის მოხელე გადიყვანეს მოხალისეთა გემზე. „ჭოროხი“ კი თავის „კომანდით“ გადაიყვანეს ძველ პორტში, ბარჟა დასტოვეს ისევ ზღვაში. სამი დღე გაატარეს მათ გემზე. მეოთხე დღეს გაგზავნეს კომენდანტთან, სადაც მოიყვანეთ „ჭოროხის“ მთელი კომანდა. კომენდანტს სურდა ოფიცრების და სხვა მოხელეების ოფიცერთა საკრებულოში გაგზავნა, მაგრამ მათი თხოვნით დასტოვეს ჯარისკაცებთან.

პირველ დღეებში ტყვეებს არავითარი სასმელ-საჭმელი არ ეძლეოდა. შემდეგ დაიწყეს სამი-მეოთხედი გირ. პურის და ცოტაოდენი სუპის დარიგება ჩვენი ოფიცრების პროტესტზე, რომ სასმელ-საჭმელი საკმაოდ მოეცათ, განაცხადეს: ტყვეებს სარდლობის ბრძანების თანახმად ნახევარ ულუფას ვაძლევთო. დიდი დახმარება გაუწიეს ტყვეებს ადგილობრივმა ქართველებმა. მათ საკმაოდ მოჰქონდათ ჩაი, შაქარი, ხორცი, თუთუნი და სხ.

ჩვენი ჯარისკაცები აიძულეს ემუშავანათ პორტში დატვირთვა-გადმოტვირთვის საქმეზე დღიურათ 5 მ., რაც არ მისცათ.

რამდენიმე დღის შემდეგ დენიკინის ბრძანება მოვიდა, რომ ქართველი ტყვეები საქართველოში დაებრუნებინათ, მაგრამ ამ დროს მოხალისეთა ტრალერი მოვიდა ტუაპსეში, რომელიც გამანადგურებელ „ტარიელ“-ს დაეზიანებინა ფოთში. ამ ტრალერმა თან მოიტანა ორი მოკლული მეზღვაური. ამის გამო არ გამოგვიშვეს, მაგრამ 20 დღის შემდეგ ბრძანება დადასტურებული იქნა და ჩვენც გამოგვიშვეს. დაკავება იმით დაასაბუთეს, რომ ნახშირი არ გვქონდაო.

23 დეკემბერს ტყვეები გაგზავნეს ბათუმში, სადაც 25 დეკემბერს მიგვიღო ჩვენმა კონსულმა და ფოთით გამოგვისტუმრა სოხუმისაკენ. ტყვეობაში მოკვდა პარტახტიანი სახადით ჯარისკაცი ბასილაია (ზუგდიდის მაზრიდან), რომლის სურათი გადავიღეთ და იქვე დავასაფლავეთ.

— როგორც კი გაიგეს მცხოვრებლებმა „ჭოროხის“ დატყვევება, გაიხარდათ— ეგონათ: საქართველომ შეტევა დაიწყო მოხალისეების წინააღმდეგო. ხალხი უკმაყოფილოა დენიკინის მოქმედებით. ახლა ბევრი რუსი ნანობს, რომ შეცდნენ, როცა საქართველოში ყოფნის დროს საქართველოს წინააღმდეგ გაილაშქრეს. ახლა ისინი დიდის სიამოვნებით დაბრუნდებოდნენ საქართველოში, რომ ამის ნებას დართავდეს საქართველოს მთავრობა.

ქართული და ამიერ-კავკასიის ფული ტუაპსეში 50—60 პროცენტით მეტით ფასობს დონის ფულზე.

გაგრის ფრონტზე დგას მხოლოდ სომხური ნაწილი (1500 კაცამდე) და 500-მდე რეგულიარული ჯარი. ყაზახთა ნაწილები გადაიყვანეს ცარიცინის ფრონტზე.

მიჰყავთ მოხალისეებს ჯარში მოსწავლეებიც 37 წლამდე, ამიტომ სკოლები იხურება.

სტუდენტის დღე

მოწოდება დაბა ქალაქებისადმი.

სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კავშირის გამგეობამ პროფესორთა საბჭოს დასტურით გადასწყვიტა ყოველ წლიურათ, 26 იანვარს, იდღესასწაულოს უნივერსიტეტის გახსნის დღე, ამისათვის საჭიროთ დაინახა მთელს საქართველოს დაბა ქალაქებში აღნიშნოს ეს დღე, როგორც ერთი უღირსშესანიშნავესი დღეთაგანი საქართველოს კულტურის აღორძინებაში. ამ დღეს ადგილობრივ, უნივერსიტეტის მეგობრების შემწეობით, უნდა მოეწყოს სადღესასწაულო საღამოები, რომლებზედაც ქართველ ერს გააცნობენ დიდ მნიშვნელობას ქართული ცივილიზაციის საფუძველს სახელმწიფო უნივერსიტეტისას. ქუჩებში უნდა გაიყიდოს კავშირის მიერ საგანგებოთ გამოცემული გაზეთი და ყულაბებით შეგროვდეს ფული ღარიბ სტუდენტთა სასარგებლოთ. წინადადება მიეცეს ყველა გასართობებს (კლუბებს, კინემატოგრაფებს და სხვებს), რომ მთელი ამ დღის შემოსავალი ან ნაწილი მაინც გადაიდოს აღნიშნულ მიზნისათვის.

გაცნობებთ რა ამას, უმორჩილესათ გთხოვთ ეხლავე დააარსოთ სტუდენტთა დღის მომწყობი კომისია, გამოიმუშაოთ ადგილობრივი პირობების მიხედვით დღის პროგრამა და გვაცნობოთ, რა სახის დახმარება დაგჭირდებათ ცენტრიდან.

საჭიროა და მასთან სასურველიც, რომ ამ დღესასწაულში მონაწილეობა მიიღონ ყველა ადგილობრივმა სახელმწიფო, საზოგადოებრივმა და სხვა არსებულმა დემოკრატიულმა ორგანიზაციებმა.

საქმის მსვლელობისა და კომისიის მუშაობის შესახებ ცნობები უნდა გამოიგზავნოს შემდეგის მისამართით: თფილისი, თავისუფლების მოედანი, სტუდენტთა სასადილო. სტ. გედეონ სვანიძეს.

სტუდენტთა კავშირის გამგეობა.

ს.-დ. პარტიაში

თფილისი. 22 დეკ. შესდგა თფილისის საქ. სადგურის ს. დ. პარტიის წევრების კრება: დღის წესრიგში იყო: მოხსენება კოლექტივიდან, 2) თეატრის მნიშვნელობა, 3) საბჭოთა რუსეთის ნოტა საქართველოსადმი. კოლექტივიდან მოხსენებით კრება კმაყოფილი დარჩა. თეატრის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ვლ. ხურიძემ, რომელმაც აუხსნა პარტიის წევრებს თეატრის მნიშვნელობა და მოუწოდა წევრებს, ისარგებლონ სახელმწიფო თეატრში გამართული წარმოდგენებით, რომელიც სისტემატიურად იმართება შაბათობით მუშებისათვის. ამისათვის ამხ. ხურიძეს შემოაქვს წინადადება რათა ჩვეულებრივი პარტიული კრება ხდებოდეს ხუთშაბათობით ნაცვლად შაბათისა. ეს წინადადება კრებამ მიიღო. საბჭოთა რუსეთის ნოტის შესახებ საქართველოსადმი პარტიულმა კრებამ იქონია მსჯელობა საბჭოთა რუსეთის მესვეურის პოლიტიკის შესახებ, კრებამ დიდი ხნის კამათის შემდეგ—მიიღო შემდეგი რეზოლუცია: კრება გმობს იმ ბარბაროსულ მოქმედებას, რომელიც მათ გამოიჩინეს ჩვენ მისიების და ელჩების წინააღმდეგ და ჩვენი წარმომადგენლები დაატყვევეს საქართველოში ბოლშევიკების დატუსაღების საპასუხოდ. ს. ს. დ. მ. პარტია კარგათ იცნობს იმ პირებს, რომლებიც დღეს გამოდიან საქართველოში ბოლშევიკების ქურქში გახვეულნი და აკეთებენ თავიანთ ბნელ საქმეებს. ამისათვის პარტიულ კრებას არ მიაჩნია სამართლიანათ საბჭოთა რუსეთის მოთხოვნილება დატყვევებულ ბოლშევიკების განთავისუფლების შესახებ.

მუშათა შორის

პროფესიონალურ კავშირებში.

ფარმაცევტთა კავშირი. ფარმაცევტთა კავშირის გამგეობამ 5 იანვრის სხდომაზე, კავშირის წევრთა ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესობის შესახებ, დაადგინა: ვინაიდან საკითხი მეაფთიაქეთა მიერ სასურსათო ფონდში თითოეულ მოსამსახურეზე 1000 მანეთის შეტანის შესახებ დადებითად იქნა გადაწყვეტილი, ამიტომ საკითხი 200 პროცენტის მიმატების შესახებ მოიხსნას და დაეკითხოს ყველა კავშირებს შეაგროვონ ცნობები არსებული ჯამაგირების მომატების შესახებ და ამის მიხედვით შემუშავებულ იქნეს მოთხოვნილება ახალი ჯამაგირების შესახებ. გამგეობის ამავე სხდომაზე დადგენილ იქმნა:

შეეკითხოს ცენტრს,—შეუძლია თუ არა მას იკისროს საქართველოს რესპუბლიკის ფარმაცევტთა ყრილობის მოწვევის ინიციატივა. თუ ცენტრი ამაზე უარს განაცხადებს, მაშინ არჩევნების შემდეგ გამგეობის ახალ შემადგენლობას დაევალოს ახლო მომავალში მოიწვიოს ყრილობა. პროვიზორების ნაკლებობის გამო კავშირის წევრათ მიღებულ იქმნებიან უკვე შეგირდებიც, ყოველი ფორმალური მხარეების ასრულების შემდეგ.

— კვირას, 17 იანვარს მოწვეულ იქნას კავშირის წევრთა საერთო კრება.

— გაეგზავნოს მთავრობის თავმჯდომარესთან კომისია, რათა უკანასკნელმა გადასცეს მას კავშირის თხოვნა, რათა მან მოახდინოს სათანადო განკარგულება, რომ დატუსაღებული ამხანაგები ნიცუბიძე და კაჩუხოვი ან გაანთავისუფლონ ან წარუყენონ ბრალდებები.

პროვინცია

გორი. 5 იანვარს გათენებისას, როცა გორის საოლქო შტაბის წევრი გ. მინაზაროვი ავადმყოფ საოლქო შტაბის წევრი პ. მღებროვის ბინიდან სახლში ბრუნდებოდა, უეცრათ წააწყდა შტაბის საწყობთან ქურდებს, რომელთაც საოლქო შტაბის საწყობიდან მოეპარათ კარავები (პალატკები), შაქარი და სხვა. კვლევა-ძიების შემდეგ გამოირკვა, რომ ქურდების ორგანიზაცია მოეწყოთ ადგილობრივ სახალხო გვარდიელის ოცის თავს ალექსანდრე მიხეილის ძე მესროფოვს და ადგილობრივ ვაჭარს კოტე ნადირაძეს, რომელთაც თანამშრომლებათ ყოლიათ ადგილობრივი გვარდიელები რიაზანოვი და სემინოვი. როგორც გამოირკვა დაჭერილთა სიტყვებიდან, მათ მოუპარავთ კარავი 200 ცალი, ორი ტომარა შაქარი, 20 წყვილი თბილი საცვლები და სხვა. სულ 150,000 მან. ღირებული. ეს სჩანს მათივე განცხადებიდან და შესაძლებელია მოპარული ნივთები მეტიც იყოს, რასაც ეხლა არკვევს საოლქო შტაბი. საქონელი მიუყიდიათ ადგილობრივ ვაჭრებისთვის და დიდი ნაწილი უკვე აღმოჩენილია. ამ საქმეზე დატყვევებულია 1) ალექსანდრე მესროფოვი, 2) კოტე ნადირაძე, 3) სემენოვი და 4) ვასო ქრისტეფაშვილი.

— 8 იანვარს, დილით სამხედრო სასაფლაოზე დაასაფლავეს სახალხო გვარდიის გორის საოლქო შტაბის წევრი, პეტრე მღებროვი. დასაფლავებას დაესწრნენ: ამხანაგები, მეგობრები, პატივისმცემლები, სახალხო გვარდიელებით შეიარაღებული რაზმი, სახალხო გვარდია, ორკესტრის გუნდი და სხ.

სიტყვები წარმოთქვეს: საოლქო შტაბის სახელით ი. გაბუნიამ, მთავარ შტაბის სახელით ვარდოიანმა, გორის სამაზრო ერობის გამგეობის სახელით შ. ჯავახიშვილმა, გორის ქალაქის თვითმართველობის სახელით პ. ჯაფარიძემ, ს. ს. დ. მ. პ. გორის კომიტეტის სახელით პ. ეფრემიძემ, ს. ს. ფ. გორის კომიტეტის სახელით ს. მაჭავარიანმა და გორის ქალაქის თვითმართველობაში მომუშავეთა სახელით ა. მიქაძემ.

ი. ქუტირელი.

განცხადებანი

მოსამზადებელი კურსები ი. მ. მაჩაძის
გიმნაზიის
პროგრამით, ამზადებენ ბავშვებს 1, 2, 3 კლასში შესასვლელად ყველა სასწავლებლისათვის. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 22, ჩაწერა 9—12 ს. (152 2—1)

გამოცდილი მასწავლებელი
ამზადებს
მოზრდილთა 4, 5, 6 კლასის მოწაფის მისაღებად. მიხეილის პროსპექტი (პლეხანოვის 25) შესავალი ალექსის ქუჩიდან № 5; 2—6 ს. (152 1—1)

იყიდება 24 „პარტა“
ჩერქეზიშვილის ქუჩა № 22, 9—12 ს. (152—2—1)

ექიმი ა. დ. გველესი
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველდღე დილით 9—11 და საღამოთი 4—6 საათამდე. მისამართი: მიხაილოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. ტელ. 14—28. (154—თ.)

ექიმი ე. მ. მანარიშვილი
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილით 9—12 და საღამოს 4—7 საათამდე მისამართი: კუთხე პლეხანოვის (მიხაილოვის) პროსპექტი და კიროჩნის ქუჩ. № 22 (შესავალი კიროჩნის ქუჩიდან) ტელეფონი 10—87. (114—თ.)

ექიმი
ლ. ცურიაშვილი
იღებს შინაგან, საბებიო და ქალურ ავადმყოფებს მუდამ დღე შუადღ. 1—2 ს. და საღ. 4—5 ს. ნიკოლოზის ქუჩა, № 7, ვორონცოვის ძეგლის ახლოს. ტელ. 14—13. (119—თ.)

ექიმი ქალი ე. ს. ბებურიშვილი
ღებულობს ავადმყოფებს შინაგან, ქალთა და ბებიობის ნაწილებში დილით 10—12 საათამდე საღამოს 5—7 საათამდ. მისამართი: იზმაილოვის ქუჩა № 18 (თ. 3065).

დოქტორი მედიცინის
ა. ა. მონსე
სნეულებანი შინაგანი და ნერვების. წამლობა ელექტრონით, ლურჯი სინათლით ჰიპნოზით და შთაგონებით ავადმყოფობანი კუნთებისა, სიდამბლის და სქესობრივი სისუსტისა.—მიღება დილით: 10½—1 საათ. საღამოთი: 6—7 ს. ხუთშაბათს გარდა კვირაობით არ მიიღება ავადმყოფები. პლეხანოვის ქუჩა (მიხაილოვის პროსპ.) № 111. ტელ. 13—42. (თ.—2)

ექიმი დ. ი. ჯაფარიძე
შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ავადმყოფებს მიიღებს 12—1 ნახ. ს. მისამართი: მადათოვის ქუჩა, № 7, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. (ტელეფონი 16—65.) (თ. 3463)

თვალის ექიმი
ზ. მ. ცხვედაძე
იღებს ავადმყოფებს დილით 1—3 საათამდე. იზმაილოვის ქუჩა № 11. მოსკოვის ქუჩიდან პირველი შესახვევი. (თ. 3322)

ექიმი მ. ა. ზაზრაძე
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“ ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფები მიიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. კვირაობით [illegible] მისამართი: [illegible] ქუჩა № 33

ექიმი ლ. ა. სარაჯიძე.
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87, ავჭალის აუდიტორიის ახლოს.

ვაგზლის კერძო სამკურნალო

(ვაგზლის ქ. შიხინოვის აფთიაქის გვერდით, ტელ. 6—95)

ექ. არგუთინსკი შინაგ. და საბავ. ყოველ დღე 10—11 ნახ.

ექ. გართაწოვი—ვენერ. და კანის სნ. ყოველდღე 1—2.

ექ. ბოკერია ქირურგ. ქალთა სნეულ. და საბებიო ყოველ დღე 10—11.

ექ. ქალი [illegible] ქალთა სნეულ. საბავ. ხუთშ. და შაბ. 11—12.

ექ. ძნელიშვილი შინაგ. და საბავ. ყოველ დღე 1—3.

ექ. ტუშურიანცი შინაგანი სნ. ყოველ დღე 11 ნახ—1.

რჩევა 10 მ., კონსულტაცია 50 მან. ოპერაცია შეთანხმებით. „606“ და „914“. (3930—თ.)